ფასი 700,000 მან. ამ.-კავ. ბონებით

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



№ 1 ყოველკვირეული ჟურნალი № 1

რედაქციისა და კონტორის მისამართი: ტფილისი, პლეხანოვის პროსპექტი, სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 74.

კვირა, 18 ნოემბერი 1923 წ.

რედაქცია და კონტორა ღიაა ყოველ დღე კვირა და უქმის გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ტ ფ ი ლ ი ს ი

ამხანაგ მუშებს ვთხოვთ მოგვაწოდონ ჟურნალისთვის წერილები და კორესპონდენციები!

სიმართლის ხმა

სრულიად საქართველოს ს.-დემ. მ. პარტიის ყრილობის მიერ არჩეულმა საინიციატივო ბიურომ შეასრულა ყრილობის დავალება.

მოსკოვში ჩვენი ინიციატივით უკვე შედგა ცენტრალური საინიციატივო ბიურო, რომელიც მოიწვევს სრულიად საკავშირო ყრილობას. ნიადაგი ამ ყრილობისათვის მომზადებულია ყველა მუშათა ცენტრებში, სადაც უკვე იმართება კონფერენციები და მენშევიკები ირაზმებიან ახალ პლატფორმაზე.

ცენტრალურ საინიციატივო ბიუროში შევიდენ წარმომადგენლები, როგორც საქართველოდან, აგრეთვე ყველა დანარჩენ ცენტრებიდან.

მოსკოვშივე იწყებს გამოსვლას ამ ბიუროს ბეჭვდითი ორგანო.

ამ ნაირად, სრულიად საქართველოს ს.-დ მ. პარტიის ყრილობის მიერ არჩეული საინიციატივო ბიუროს მისია უნდა ჩაითვალოს შესრულებულად და ის ძველი ფუნქციებით ვეღარ იარსებებს... ის იშლება.

დღეიდან ჩვენში აღარ გამოვა არც „მომავალი“, ორგანო ამ ბიუროსი, ვინაიდან მთელი ცენტრი მუშაობისა გადატანილია მოსკოვში, სადაც ამ მოკლე ხანში უნდა შესდგეს სრულიად საკავშირო რესპუბლიკების სოც.-დემ. პარტიის ყრილობა. ეს ყრილობა დაადასტურებს იმ გზას, რომელზედაც დაირაზმენ ძველი პარტიის წევრები, როგორც საქართველოში, აგრეთვე რუსეთის სხვადასხვა კუთხეებშიაც.

მაგრამ ამით იოტის ოდნავათაც ვერ შეჩერდება ჩვენში ის მუშაობა, რომელსაც ყოფილი მენშევიკები ვაწარმოებთ ანტისაბჭოთა ფრონტის წინააღმდეგ.

დღეს, როცა იშლება საინიციატივო ბიურო, მის ადგილს იკავებს სპეციალური კომისია საქ. კომპარტიის ცეკასთან, რომელსაც ევალება გაატაროს ცხოვრებაში ცეკას პლენუმის მიერ მიღებული თეზისები ყოფილ მენშევიკების საბჭოთა, პროფესიონალურ და პარტიულ მუშაობაში ჩაბმის შესახებ და სრულიად საქართველოს ს. დ. პარტიის მიერ მიღებული რეზოლიუციები საბჭოთა პლატფორმაზე ჩვენი დარაზმვის შესახებ.

ეს კომისია იქნება ის შემაერთებელი რგოლი, რომელიც დაუახლოვებს, დაუკავშირებს ყოფილ მენშევიკებს კომუნისტურ პარტიას და ამნაირად გააძლიერებს, გაამაგრებს იმ ერთიან ფრონტს, რომლის საჭიროება გარდუვალ საკითხად დასახა ჩვენმა ყრილობამ.

ოდესღაც ჩატეხილი ხიდი ჩვენსა და კომუნისტებს შორის საჭიროებს დიდ პრაქტიკულ მუშაობას, რომ გამომრთელდეს ის და შეადუღოს ეს ორი დიდი რაზმი რევოლიუციის ფართო გზაზე. რეზოლიუციებისა და დეკლარაციების შემდეგ ჩვენს მუშაობაში დგება ახალი ხანა, ხანა ამ ლამაზი სიტყვების განადღებისა.

12 ათასმა პარტიის წევრმა უნდა გაანაღდოს ცხოვრებაში მის მიერ გამოტანილი დადგენილებანი. ჩვენ პრაქტიკულადაც უნდა დავირაზმოთ პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე.

კომპარტიის ცეკას დადგენილებებიც ყოფილ მენშევიკებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობის შესახებ ჩვენი ქვეყნის ასაყვავებლად და მუშათა კლასის რიგების გასამაგრებლად, ცხადია, საჭიროებს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას, რომ ეს დადგენილებანი არ დარჩეს მარტო ქაღალდზე.

გარდა ამისა საჭიროა იდეოლოგიური მუშაობა, რომ ჩვენს რიგებს გარეთ არ დარჩეს არცერთი მუშა მენშევიკი. იმ ამხანაგებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ გაუბედიათ ჩვენთან მოსვლა, ეს პროცესი უნდა გაუადვილოთ.

ჩვენს წინააღმდეგ დღეს ამხედრდა მთელი ანტი-საბჭოთა ბანაკი. მართალია, ძალიან მცირე რიცხვოვანი და მიკროსკოპით საძებარია ეს ბანაკი, მაგრამ მათ მიერ გადმოსროლილ ბადეებში შეიძლება ვინმე გულუბრყვილო გაებას და ამით ზიანი მიადგეს რევოლიუციის საქმეს. ამ ბანაკთან ბრძოლა, მათ მოღალატური მოქმედებისთვის ჩვენი მუშაობის დაპირდაპირება და იდეური ბრძოლის პროცესში ამ ბანაკის სრული სიკოტრის გამოაშკარავება და ლიკვიდაცია ჩვენს მომავალ მუშაობაში აქტუალურ ადგილს იჭერს.

აი ეს მოვალეობანი აწევს დღეს კისერზე იმ კომისიას, რომელმაც უნდა შეცვალოს ყოფილი საინიციატივო ბიურო.

სიმართლის ხმა ამ ბრძოლაში უნდა იყვეს მკვეთრი, დაუნდობელი: ეს სიმართლე კი ჩვენს

მხარეზეა. ჩვენ ვერ ვიქნებით დამშვიდებული მანამ სანამ პრაკტიკული შედეგება ჩვენსა და კომუნისტურ პარტიის შორის, ჩვენი ფაქტიური დარაზმვა მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, ჩვენი ბრძოლა ანტი-საბჭოთა ბანაკის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ჩვენი მოწინააღმდეგეთა სრული დამარცხება არ იქნება აღიარებული განხორციელებულ ფაქტათ.

ჩვენმა ყრილობამ თეორიულად, ხოლო კომპარტიის ცეკამ პლენუმმა პრაქტიკულად უკვე დასახა ის გზა, რომლითაც ჩვენ მივალთ სრულ გამარჯვებამდე და რომლითაც ჩვენ უნდა გავამართლოთ ჩვენ მიერ მიღებული პლატფორმა.

ამ პლატფორმის და მის ირგვლივ ჩვენი რიგების მტკიცე დარაზმვას ემსახურება „სიმართლის ხმა“, რომელიც სცვლის დღევანდელს „მოამბეს“.

„მოამბე“ და მისი როლი გადავიდა მოსკოვში, სადაც მოკლე ხანში უნდა მოხდეს დიდი აქტიური მნიშვნელობის აქტი, რომლის რგვლივ იმუშავებს ამიერიდ ან საკავშირო საინიციატივო ბიუროს ორგანო.

სიმართლის ხმა, რომელმაც გაიმარჯვა სრულიად საქართველოს მენშევიკური პარტიის ყრილობაზე, გაიმარჯვებს სრულიად საკავშირო მასშტაბითაც.

სიმართლის ხმა, რომელიც აღმოხდა გულის სიღრმიდან მენშევიკური პარტიის 12 ათას წევრს, მოუწოდებს მუშათა კლასს მტკიცეთ შემოკრბენ მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, რომელიც მხოლოთ ერთად ერთი მიგვიყვანს მუშათა იდეალის სრულ გამარჯვებამდე

ამ პრაქტიკულ მუშაობაში ებმება დღეიდან ჩვენი ორგანო „სიმართლის ხმა“.

და ვისაც სწამს რევოლიუცია და მუშათა კლასის ინტერესები, ის შემოკრბება ამ „სიმართლის ხმის“ ირგვლივ.

წერილი ნოე ჟორდანიასადმი.

ჩვენო დიდათ პატივცემულო და საყვარელო მასწავლებელო ნოე.

შენთვის ალბათ მოულოდნელია ჩვენი ასეთი მომართვა. მაგრამ ამ ისტორიულ მომენტში, როცა ათეულ წლობით დაქსაქსული ქართველი მშრომელი ხალხი მთლიან ოჯახს უბრუნდება, როცა იქმნება ერთი ფრონტი კაპიტალისტურ სამყაროს წინააღმდეგ, შენი ჩვენთან ყოფნა მეტათ სასურველი და სასარგებლოა. მუშათა კლასს და მოწინავე გლეხობას, როგორც საქართველოში, ისე ამიერ-კავკასიაში, ყოველთვის ახსოვს შენი სახელი, როგორც იშვიათ მასწავლებლის და სამყარო ლიდერის. მისი შენდამი სიყვარული განუსაზღვრელი იყო და არის. ამიტომ უნდა მას, რომ ჭირშიც და ლხინშიც თან გიყოლიოს

ამხანაგო ნოე, საქართველოს გასაბჭოება ისე მოულოდნელად და პატარა ხნის განმავლობაში მოხდა, რომ ჩვენ ვერ მოვასწარით დაფიქრება, საერთო აზრის, სულისკვეთების ერთმანეთისთვის გაზიარება და ისე მოქმედება. საქართველოს მთავრობის და განსაკუთრებით შენი საზღვარ-გარედ წასვლა საბედისწერო დარჩა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისათვის.

ახალმა ხელისუფლებამ ჩვენში ბევრი რამ ახალი მოიტანა. აქედან, გულახდილად უნდა გითხრათ, ამხანაგო ნოე, რომ თუ რაიმე შევიწროებას და შეწუხებას ჭქონდა ადგილი, ეს მშრომელ მასას სრულიად არ შეხებია, არამედ თავს დაატყდა განსაკუთრებით საქართველოში მცხოვრებ შეძლებულ ელემენტებს. მაგრამ პარტიის დისციპლინის თანახმად ჩვენ გავაჩაღეთ იატაკ ქვეშ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამის შემდეგ ჩვენს ბრძოლას ისეთივე ბრძოლით უპასუხა ახალმა ხელისუფლებამ, როგორც ეს მის ბუნებას სჩვევია და მრავალი ჩვენი ამხანაგები ციხეებში მოექცნენ. მხოლოდ ამ მხრივ და როცა ჩვენ ვაძლევდით ამის სრულ საბუთს, ხდებოდა მუშათა კლასის ერთი ნაწილის დევნა, რომელიც ჩვენს პარტიაში ირიცხებოდა. მაგრამ ორ-ნახევარ წლის დაკვირვებამ დიდი გარდატეხა მოახდინა ჩვენი პარტიის მშრომელთა რიგებში. ერთი მხრივ ჩვენ ვრწმუნდებოდით ბრძოლის უნაყოფობაში, მეორე მხრივ-კი სამხედრო კომუნიზმის დასრულება და საბჭოთა აღმშენებლობის ახალი ხანა მეტსა და მეტს გარანტიას ჭქმნიდა მშრომელი ხალხისათვის ყველა საზოგადოებრივ ეკონომიურ და პოლიტიკურ კითხვებში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში დღეს, როგორც საზოგადო სოციალური უბედურება, ადგილი აქვს სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო ნაკლებ უმუშევრობას, მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უფრო კარგია, ვიდრე ეს რევოლიუციის შემდეგ სხვა რომელიმე დროს იყო. ეროვნული კითხვა ისე გადასჭრა კომპარტიის მე-12 ყრილობამ და ჩვენში, ადგილობრივ, ისე მტკიცედ ტარდება ის ცხოვრებაში, რომ ამით საესებით კმაყოფილია ქართველი ინტელიგენციაც-კი. რაც შეეხება მუშათა სამკურნალო დახმარებას, აქაც დიდი მუშაობა სწარმოებს. დასასვენებელი სახლების დიდი ნაწილი ჩვენს აგარაკებზე მუშებით არის სავსე. შრომის ყველა კანონები მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში და ჩვენს სასარგებლოდაა მიმართული. სწავლა-განათლების საქმე ისეა დაყენებული, რაზე მეტსაც არავინ ჩვენგანი არ მოითხოვს. მუშათა ფაკულტეტები, პარტიული სკოლები, უნივერსიტეტების პროლეტარიზაცია და სხვა. ჩვენს პირობებში ამაზე უფრო მეტს მუშათა კლასის ეკონომიურ და მოქალაქეობრივ უფლებების უზრუნველყოფის მხრივ ვერავინ ვერსად შესძლებდა.

შეიძლება შენ მოგდის ინფორმაცია აქაურ მდგომარეობის შესახებ, მაგრამ გარწმუნებთ, რამდენადაც შენ ინგარიშს გაუწევ ჩვენ მუშურ სიტყვას და რევოლიუციონურ წარსულს, ის ერთობ ცალმხრივი და ტენდენციური იქნება.

და, როცა ყოველივე ეს თვალსაჩინო გახდა ჩვენი პარტიის მშრომელ ნაწილისათვის, ის თან და თან გადმოვიდა პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე. დღეს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში დიდი თანაგრძნობა აქვს და განსაკუთრებით ეს ემჩნევა მუშათა წრეებსმ ამის შემდეგ ჩვენთვის აშკარა შეიქნა, როი საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება საქართველოში და მის ნანგრევებზე ჩვენ-ძალა-უფლების რესტავრაცია ისეთი ბოროტება იქნებოდა მუშათა კლასის წინა. აღმდეგ, რომელიც ჩვენ ადრე თუ გვიან დაღუპვის უფსკრულში გადაგვისვრიდა და, რასაც ისტორია არასოდეს არ გვაპატიებდა. რაც შეეხება ოქტომბრის რევოლიუციის დამარცხებას რუსეთის ფარგლებში—ეს პირწმინდა რეაქციის გაბატონებას დაედრებოდა, რაც შენაც ხშირად გითქვამს ჩვენთვის.

ჩვენ დიდი მსხვერპლი გავიღეთ ამ ორ-ნახევარ წლის ბრძოლაში, მაგრამ დავრწმუნდით, რომ ისტორია ამისთვის მადლობას არ გვეტყოდა. ის მდგომარეობა, რომელსაც უწყობს არალეგალური ცეკა სრულიად არ ეკარება მუშის გულსა და სულს. დღეს სოც.-დემოკრატიულ პარტიის საქმე და სიტყვა საესებით ასცდა მარქსისტულ თეორიაზე დაყრდნობილ რევოლიუციონურ ბრძოლას, რომელიც მას თავიდანვე ახასიათებდა. მუშები და გლეხები ასობით და ათასობით სტოვებენ პარტიას, არალეგალურ ცეკამ ვერც ერთი ლოზუნგი ვერ გადმოისროლა, გარდა ავანტიურისტულ ბრძოლისა, რომლის გარშემოც

*) ეს წერილი სრულიად საქართველოს სოციდემ. მუშათა პარტიის ყრილობამ გაუგზავნა საზღვარ გარედ ნ. ჟორდანიას ა./წ. 30 აგვისტოს.

შესძლებოდა ამ პარტიის მშრომელ ელემენტს შემჭიდროება და დარაზმვა. პარტიის რიგები თან და თან თხელდებოდა და დღეს ფაქტია, რომ 12 (თორმეტი) ათას მუშამ და გლეხმა სამუდამოთ დასტოვა მისი რიგები. ამ რიცხვის გარდა, საგრძნობი ნაწილი ამხანაგების, რიცხვი 5 (ხუთი) ათას კაცამდე, რომელთაც დიდი რევოლიუციონური წარსული აქვთ, სავსებით ჩამოშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას და სრულ ნილილიზმს მისცა თავი.

როგორც შენ არა-ერთხელ გითქვამს, ამხანაგო **ნოე**, ეს ხალხი იყო პარტიის აქტივი რევოლიუციის შემდეგ. რევოლიუციამდე-კი მხოლოდ ამათგან შესდგებოდა სოც.-დემოკრატიის რიგები და მხოლოდ ამათ ზურგზე გადადიოდა რეაქციასთან ბრძოლის მთელი სუსხი. 1917 წლის შემდეგ ჩვენი პარტია გასივდა და ავადმყოფურად გაიბერა, მისკენ მოილტვოდა და მას შემოეხიზნა, როგორც გაბატონებულ პარტიას, ყველა გამვლელი და ბედის მაძიებელი ადამიანი. რაც შეეხება რევოლიუციის შემდეგ ჩვენთან მოსულ მუშებსა და გლეხობას, რომლებიც მომეტებით ახალგაზრდები იყვნენ, დღეს ისინიც ჩვენთან არიან, ე. ი. სავსებით სდგანან პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე. პარტიის ასეთი დაშლა შეიძლება შენ რეპრესიების ნაყოფი გეგონოს, მაგრამ სად გაგონილა, რომ რეპრესიებს ასეთი მასიური გადახრა შეექმნას რომელიმე პარტიის სულისკვეთებაში, ან რატომ სხვა დროს არ ვუფრთხოდით ჩვენ რეპრესიებს. ესე რომ არ იყოს, ჩვენი გვარებით და ვინაობით შენ გაიგებ, რომ ძალდატანება ჩვენში ვერ მოახდენდა აზრისა და მოქმედების შეცვლას. უკვე მოხდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობა. ყრილობაზე წარმოგზავნილი იყვნენ ყველა მაზრებიდან, გარდ. რაჭა-ლეჩხუმისა (სადაც არჩევნები დაგვიანდა). დელეგატთა თითქმის მთელი შემადგენლობა ჩვენი ძველის-ძველი ამხანაგები იყვნენ, რომელთაც რუსეთის კატორღის საშინელებაც გამოუვლიათ და ჩეკის სარდაფებშიც მსხდარან. ყრილობამ პარტია დაშლილად გამოაცხადა და პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმა გაიზიარა. ჩვენ ზოგიერთები გვისაყვედურებს, რომ პარტიის დაშლის შემდეგ არ ვინარჩუნებთ ცალკე ორგანიზაციის სახეს და სავსებით ვითქვიფებით კომუნისტურ პარტიის რევოლიუციონურ მასაში.

უპირველეს ყოვლისა ჩვენც და კომუნისტებიც მარქსისტები ვართ. ამას შენ თვითონაც გვასწავლიდი. ჩვენი მსოფლმხედველობის საფუძველი ერთი და იგივეა. ის მეცნიერულ მატერიალიზმს ეყრდნობა. რაკი მოისპო ჩვენში ტაქტიკური და ბოლო დროს წარმოშობილი პრინციპიალური უთანხმოებანი, ამის შემდეგ ჩვენ არაფერი დაგვრჩენოდა, რომ მაზე დავყრდნობოდით და საკუთარი პლატფორმა შეგვექმნა. მით უმეტეს ამას არც მუშათა კლასის მთლიანობის ინტერესები მოითხოვს. ჩვენ გვშიშობდით, რომ ცალკე პარტიის შექმნა, რაც უნდა ახლო მდგარიყო ის კომუნისტურ პარტიის პროგრამასთან ბოლოს და ბოლოს იმ განხეთქილებამდი მიგვიყვანდა, როგორც ამას ადგილი ქონდა სოც.-დემოკრატიულ პარტიის ორ ფრთის შორის. ყოველივე ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ყველანი მუშები და გლეხები ვართ, არ გაგვაჩნია საიმისო იდეოლოგები, რომელნიც შესძლებდენ ახალი გზის გამონახვას და ჩვენი იდეურ ხელმძღვანელობას.

ჩვენთვის მეტად სამწუხაროა, რომ ამ საბედისწერო და საპასუხისმგებლო მომენტში შენ აქ არ იყავი. სოც.-დემოკრატიულ პარტიის მშრომელი ნაწილი ბედის ანაბარა დარჩა. მიატოვა საზღვარ-გარეთ წასულ მისმა ადრინდელმა ხელმძღვანელებმა, მას არ აკმაყოფილებდა ადგილობრივი ცეკას პოზიცია, რომლის გარშემოც ამხანად ათიოდე მოსწავლე ახალგაზრდობა და თითო-ოროლა ჩვენი გაჯიუტებული ამხანაგობა იყრის თავს. და ამ მშრომელთა ნაწილმა ჩვენი პარტიისა, თავის სოციალურ ბუნების კარნახით დააღწია თავი ბურუსს.

ჩვენ, რომლებ ც ათეულ წლობით შენთან ვიყავით, ამხანაგო ნოე, ამ წასვლის, სამუდამო განშორების და გამომშვიდობების დროს, მოვალეთ ვრაცხთ ჩვენს თავს ამ ბარათით მოგმართოთ.

ჩვენ გვინდა, რომ შენც ჩვენს რიგში იყვე. ჩვენ არასოდეს არ დავიჯერებთ, რომ შენთვის ძვირფასი არ იყვეს ქართველი ხალხის ბედ-იღბალი, რომელსაც მთელი ს ჭაბუკე და სიცოცხლე შეალიე. თუ ეს ასეა, ამ ხალხის კეთილ-დღეობა, მისი დღევანდელი ვითარება მოითხოვს შენს კვლავ მასთან დაბრუნებას. ჩვენ გვწამს, რომ მიუხედავათ ამ მდგომარეობის, რომელიც შექმნილია ევროპაში, მიუხედავად შენი პირადი მეგობრულ დამოკიდებულების ევროპის სხვა და სხვა გავლენიან პირებთან და წრეებთან, შენ მაინც ქართველი მუშის კორძიან ხელით დაწერილ ბარათის სულს და გულს გაიგებ და კვლავ ჩვენს ბანაკში დაბრუნდები. ბევრის თქმა გვინდოდა შენთვის, მაგრამ ჩვენი ვინაობა და ამ წერილის შინაარსი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ გაიგო რა ხდება დღეს ქართველი მუშის და გლეხის გულში. ჩვენ ველით დიდ ნოეს კვლავ ჩვენს ბანაკში დაბრუნებას. ჩვენ გვჯერა, რომ ის იმედს არ გაგვიცრუებს. შენი პასუხის მოლოდინში მყოფნი ყოფილი ყრილობის პრეზიდიუმის წევრებ და დელეგატები.

(ხელი უწერიათ პრეზიდიუმის და ყრილობის ყველა წევრებს).

საბჭოთა არჩევნებისათვის.

ახლო მომავალში დაიწყება ხელახალი არჩევნები მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოებისა მთელს საქართველოში.

საქართველოს მშრომელი მასსა განაახლებს ხელისუფლების მატარებელ ორგანოებს, მისი ინტერესების დამცველს საბჭოებს, ახალ ძალებს წარგზავნის იქ, რათა მეტის ენერგიით, მეტის თავდადებით და ერთგულებით დაიცვას მისი ინტერესები.

ჩვენ ყოფილი მენშევიკური პარტიის წევრები პირველად ვიღებთ მონაწილეობას, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა არჩევნებში.

რამდენიმე წლის განზე დგომის შემდეგ ჩვენ კვლავ მხარს უჭერთ საბჭოებს და მის გამაგრებისათვის ვმუშაობთ დღეს. ჩვენს დროსაც იყო მუშათა დეპუტატების საბჭოები, ყველას ახსოვს როგორ გაატარა მან თავისი დღეები.

უბრძოლველად, საკუთარი ნებით და სურვილით, მთელი თვისი დიდი უფლებანი და არა ნაკლები მოვალეობანი მან დამფუძნებელ კრებას გადასცა და თვით გასცილდა პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზს!

მას შემდეგ, რაც ჩვენ ოთხ ფორმულიანი არჩევნების საშუალებით დამფუძნებელი კრება გვესტუმრა, ზედმეტად მიგვაჩნდა პარლამენტარულად მესამე საკანონმდებლო ორგანოს არსებობა და მისი უფლება მოვალეობანი გადაეცა ამ საყოველთაო ინტერესების გამომხატველ და დამცველ დამფუძნებელ კრებას.

ეს ნაბიჯი ეგუებოდა მაშინ ჩვენს მსოფლმხედველობას, ჩვენს საერთო გეზს, ჩვენს ტაკტიკას.

ჩვენ ფართე პოლიტიკური, დემოკრატიის მომხრენი ვიყავით, ბურჟუაზიული სახელმწიფოს ვაშენებდით, და რა თქმა უნდა აქ ამის შესაფერი ორგანოებიც უნდა ყოფილიყო.

ჩვენ მე-II-რე ინტერნაციონალთან ერთად ვამბობდით, რომ ჯერ არ დამდგარა ჟამი პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების და ამიტომ მხარს უჭერდით ბურჟუაზიას, ხოლო სადაც ასეთი ნორმა, ჯერ კიდევ გაუფურჩქვნელი იყო, როგორიც მაგალითად ჩვენში, ჩვენ ვაშენებდით თვითვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს.

ამიტომ ჩვენს დროს საბჭოებმა გაათავა თავისი სიცოცხლე, და ადგილი დაუთმო პარლამენტს, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფოს ფარგლებში მყოფ ყველა კლასთა კრებას მათ წარმომადგენელ პარტიათა სახით.

ჩვენ მაშინ ვფიქრობდით, რომ არ დამდგარა დრო პროლეტარიატის დიქტატურის, რომ ეგრედ წოდებული პარლამენტარული დემოკრატია კიდევ სცოცხლობს და ვიბრძოდით მის უფლებათა დაცვისათვის.

მაგრამ ცხოვრებამ წინააღმდეგი დაამტკიცა საბჭოთა რუსეთში, საბჭოებს უქვე 6 წელი შეუსრულდა.

ამ ექვსი წლის განმავლობაში მუშათა გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების ხელშია მთელი ძალა-უფლება და ჩვენ დავინახეთ, რომ მას არა ნაკლებ შეუძლიან გაუძღვეს ქვეყნის ცხოვრებას.

მეტსაც ვიტყვით. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ნათლად დაგვიმტკიცდა, რომ პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის კავშირი ურთიერთ შორის ჰქმნის ისეთ პირობებს მუშაობისა, რომელიც იძლევა დიდ და ხანგრძლივ ნაყოფს განსაკუთრებით ეკონომიურად აღორძინების სფეროში.

რა მოგვცა საბჭოებმა?

ძალიან შორს წაგვიყვანდა ყველაფერის ჩამოთვლა, თუ მან მუშათა კლასს და მშრომელ მასას რა მიანიჭა ამ 6 წლის განმავლობაში.

ვინ, თუ არა საბჭოებმა, გადასცა გლეხებს მიწა და ამ რიგათ განუკურნა მას საუკუნოებით მტკივანი წყლული.

ვინ, თუ არა საბჭოებმა, დააკანონა და გაატარა შრომის ყველა დარგებში 8 საათის სამუშაო დღე? ხოლო მძიმე სამუშევრებზე 7 და 6 საათისა.

ვინ, თუ არა საბჭოებმა, გაათანასწორა უფლებრივად ყველა მშრომელი მოქალაქე.

ვინ, თუ არა საბჭოებმა, მოუპოვა მუშათა კლასს გამარჯვება მტერზე.

ვინ, თუ არა... მაგრამ აბა რამდენი ჩამოვთვალოთ.

იმის ჩამოთვლას რაც საბჭოებმა მოგვცა, ვრცელი ტომები მოუნდებოდა.

საბჭოები—ეს ჩვენი რესპუბლიკებია და ამის თქმა საკმარისია იმისათვის, რომ სავსებით დაახასიათოთ ის.

ჩვენში, საქართველოში, საბჭოებს მხოლოდ რამდენიმე წლის არსებობის ისტორია აქვს.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ნათლად დავინახეთ, დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხელისუფლება, ერთად ერთი გამომხატველი და დამცველია მუშათა და გლეხთა ინტერესებისა.

დაათვალიერეთ რომელი დარგიც არ გენებოთ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს ასეა.

გადახედეთ სახალხო განათლების საქმეს: როდის ჰქონდა საქართველოს ამდენი სკოლები, რამდენიც დღესაა.

მთელი საქართველო მოფენილია შრომის სკოლებით.

ოცნება ყველა რევოლიუციონერის, თავდადებული მეშაკის ხალხის ინტერესებისათვის, ეს ოცნება წერა-კითხვას უკოდინარობის სრულიად მოსპობა იყო.

და დღეს საბჭოები იმის თავდებია, რომ მომავალში ჩვენ წერა-კითხვის უკოდინარი არ გვეყოლება სრულიად.

გადახედეთ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას. გაყვანილია ახალი რკინის გზის ლიანდაგები, გზა ტკეცილები, აგებულია ქარხნები, სწარმოებს ქალაქების გაშვენიერება.

რასაკვირველია ყველაფერი ეს არ არის ის, რაც შეადგენს იდეალს საბჭოთა ხელისუფლებისა, რასაკვირველია ჯერ კიდევ ბევრია გაუკეთებელი, ბევრ შეცდომებს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს მთლიანად საბჭოების ბრალი როდია, ამაში ბრალი უმთავრესად ჩვენს ხალხს, მშრომელ მასსას მიუძღვის.

რა გავაკეთეთ ჩვენ?

ვებმარებოდით საბჭოებს იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომელიც მას მიზნად ჰქონდა დასახული?

უკეთეს შემთხვევაში ჩვენ განზე ვიყავით გამდგარი.

„ხელს არ შეუშლით, არ დავეხმარებით, აბა გვიჩვენონ რას გააკეთებენ თავის საბჭოებით". აი ჩვენი პასუხი.

მართალია, ზოგჯერ ჩვენ, როგორც პარტიას, არ გვიშვებდენ საბჭოებში, ჩვენს მიმართ ორგანიზაციული უნდობლობა იყო. და ეს სრულიად გასაგებია.

ჩვენ საბჭოებში მივდიოდით არა იმიტომ, რომ საბჭოები გაგვემაგრებია.

ჩვენ არ გვინდოდა, არ ვიყავით ჩვენი რწმენით საბჭოთა სისტემის მომხრე, ჩვენ დემოკრატიული პარლამენტი გვინდოდა და ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენ საბჭოებში არ გაგვიშვებდენ.

დღეს სულ სხვა პირობებია.

ჩვენმა ყრილობამ ერთხელ და გადაჭრილათ სთქვა თავისი სიტყვა.

მან აღიარა საბჭოთა სისტემა მართველობისა და, რა თქმა უნდა, აქიდან გამომდინარე ვალდებულებანიც დაიკისრა. 12 ათასი მუშა და გლეხის წინაშე დღეს კარდინალური ამოცანა სდგას:

მიიღოს მონაწილეობა მხურვალე ენერგიული ახალი საბჭოების არჩევნებში. ამ ხნის განმავლობაში საბჭოებს და სახელმწიფოს კომპარტია ხელმძღვანელობს, ამ ხნის განმავლობაში ის იყო მისი მესვეური, ჭირში და ლხინში ერთად მყოფი. ამიტომ ჩვენც მხარი კომუნისტურ პარტიას უნდა დაუჭიროთ.

ჩვენც უნდა მივიღოთ აქტიური მონაწილეობა არჩევნებში.

ადგილობრივად ამხანაგები უნდა გაერთიანდენ კომპარტიასთან და მასთან ერთად შევიდენ საბჭოებში, აღმასკომებში, აიღონ თავზე პასუხისმგებლობა, ჩაებან მუშაობაში და აკეთონ მუშა ხალხის საქმე.

არც ერთი ამხანაგი არ უნდა დარჩეს გულგრილათ.

ყველამ საბჭოების არჩევნებისკენ. საინიციატივო ბიურო მიიღებს ზომებს და შესაფერ ინსტრუქციებს დაუგზავნის ადგილობრივ ამხანაგებს ორგანიზაციულ ხასიათის დეტალების გათვალისწინებით. რამოდენიმე ხნის განმავლობაში ჩვენ საბჭოების გარეშე ვიდექით.

დღეს ჩვენც უნდა შევიდეთ მუშათა ნებისყოფის გამომხატველ ორგანოებში. გაათკეცებულ ენერგიით უნდა ვაკეთოთ მშრომელთა საკეთილდღეო საქმე.

ამას მოითხოვს ჩვენგან რევოლიუციის ინტერესები.

განახლებულ საბჭოებში ახალი ძალების, ახალი რაზმის შესვლა გაახალისებს და გააცხოველებს მის მუშაობას.

მრავალი წლების განმავლობაში რევოლიუციონურ ბრძოლაში გამობრძმედილი ამხანაგების კვლავ მშრომელი ხალხის საჭირო მუშაობაში ჩაბმა, უსათუოდ ახალ ნაყოფებს გამოიღებს და კიდევ უფრო წასწევს წინ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეს.

მაშ ენერგიულათ ვიმუშაოთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოთ.

გ. ვ—ნი.

ვინ უნდათ შეიყვანონ შეცდომაში?

(მენშევიკების უკანასკნელ „კონფერენციის" შესახებ).

სრულიად საქართველოს ს.-დ. ყრილობის შემდეგ, როცა გამოაშკარავდა მენშევიკური ცეკას უნიადაგობა, უზურპატორობა და „სამოზვანცობა", ცეკა დიდ საგონებელში ჩავარდა:

როგორ გამოესწორებია მდგომარეობა?

და ამ ყრილობის შემდეგ რამდენიმე მენშევიკი, რომლებიც ყრილობის პლატფორმის გარეშე დარჩენ, შეიკრიბენ და იქონიეს მსჯელობა მათ მომავალ მუშაობის შესახებ. სულ ამ კრებას დაესწრო 10—15 კაცი.

ამ კრების შესახებ ჩვენ გვქონდა კანტიკუნტი ცნობები, მაგრამ თუ ეს კრება გაბედავდა თავის თავის კონფერენციად გამოცხადებას, ეს კი წარმოუდგენელი იყო.

ეს კრება დამთავრდა ამ წლის 5 სექტემბერს.

და აი 9 სექტემბერს სეით დევდარიანი, მენშევიკური ცეკას ერთი სულის ჩამდგმელთაგანი, უგზავნის პირადათ ამ წერილის ავტორს წერილს, სადაც სხვათაშორის სწერს:

—არჩილ რუხაძის მიერ დასმული პარტიული დისციპლინის საკითხი შეეხება მხოლოთ მათ, ვინც გასულია პარტიიდან და ვინც თავის თავს ყოფილ მენშევიკს ეძახის. ჩვენი ცენტრალური კომიტეტის (ახლანდელის და ახალი შემადგენლობის) წინაშე კი სდგას მხოლოთ საკითხი:—რამდენი პარტიის წევრის წარმომადგენელი იქნება ის ამიერიდან და ვისი სახელით იდგება პოლიტიკურ ასპარეზზე.

ამ წერილიდან აშკარა გახდა:

1) ჩვენი ყრილობის შემდეგ რამოდენიმე მენშევიკი შეკრებილა და გამოუცხადებია თავი ცეკად. ეს იქიდან სჩანს, რომ მათ არც კი იციან თუ რამდენი პარტიის წევრის წარმომადგენლები არიან და ვინ აირჩია ისინი. ამის გამორკვევას ცეკა უდგება მომავალში.

2) ამ რამდენიმე პირის უზურპატორობა იმაშიაც გამოიხატებოდა, რომ არავისთვის არაფერი შეუტყობინებიათ და მხოლოდ ერთ დღეს, რამდენიმე საათის განმავლობაში „შეხანლლეს" „ყრილობა" და აირჩიეს ცეკა.

ეს უზურპატორობა ჩვენ გამოვაშკარავეთ და ქვეყანას დავანახეთ ცეკას სიყალბე...

ამ ჟამათ წინ მიდევს ამ 15 პირის დადგენილებანი და ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ აქვს.

ეს 15 კაცი ეხლა თავის კრებას აცხადებს თბილისის კონფერენციათ და გამოაქვთ სხვა

და სხვა დადგენილებანი... 2550 პარტიის წევრის სახელით (!?)

თბილისის კონფერენცია... 2550 კაცი... ცეკას არჩევა... რეზოლიუციები... მიმართვები...

ეს ნამდვილი ფარსია...

მაგრამ რისთვის დასჭირდა ამ ხალხს ასეთი ფარსის გათამაშება?..

ვინ მისცა უფლება 15 კაცს 2550 პარტიის წევრის სახელით ლაპარაკის?..

ვის ატყუებენ ამით?..

ყოველ შემთხვევაში ისინი ვერ მოატყუებენ ასეთი თვალთმაქცობით საქართველოს მუშათა კლასს.

მაგრამ საქართველოს მუშებისთვის ხომ არ იწერება ცეკას მიერ სიყალბით სავსე დოკუმენტები?

ისინი ამ სიყალბეს აწარმოებენ საზღვარგარეთ მყოფ „ხაზეინების" გულის მოსაგებათ:

— ჩვენ ცოცხლები ვართ... არ მოგვაკლოთ თქვენი მოწყალების კალთაო.

ნაუცბადევათ შეკრებილ 15 კაცს ნეტა ვისი მანდატი ქონდა? ვისი სახელით ლაპარაკობდა ის?

თვით ს. დევდარიანი 9 სექტემბერს გვწერდა,—ჩვენ ეხლა ვარკვევთ ვინ დარჩა ჩვენს მხარეზეო.

თუ 9 სექტემბერს არ იცოდენ ვინ იყო მათ რიგებში, 5 სექტემბერს როგორ აღნუსხეს, რომ ამ „კონფერენციაზე" 2550 მანდატი იყო?

ამაზე მეტი სიყალბე შეიძლება?..

მაგრამ ტყუილს ხომ მოკლე ფეხი აქვს?..

მადლობა ღმერთს, ეს დოკუმენტი, თვით ს. დევდარიანის ხელით დაწერილი, ხელში გვაქვს!..

მაგრამ, საინტერესო ამ „კონფერენციის" დადგენილებებში მარტო სიყალბე როდია. საინტერესოა აგრეთვე ის იდეური სიკოტრეც, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით გამომჟღავნდა იქ.

ჩვენ არ გამოვუდგებით გარჩევას იმ ლანძღვა-გინებისა, რომლითაც გვიმასპინძლდებიან ჩვენი ყოფილი ამხანაგები, თუმცაღა ესეც დიდათ დამახასიათებელია ამ პირთა მორალური სიკოტრის.

— იუპიტერი ჯავრობს, ალბათ, ის მტყუანია.

გავყვეთ ფეხ და ფეხ მათ რეზოლიუციებს. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ამ „კონფერენციის" დადგენილებებში სხვათა შორის ვკითხულობთ:

— ისტორიამ უკვე დააყენა ევროპა სოციალისტურ გარდაქმნის პრობლემის წინაშე. მუშათა კლასის გამარჯვება ისმება ობიექტიურად აუცილებლათ.

მაგრამ რას შვრებიან მენშევიკები და მეორე ინტერნაციონალი ამისთვის.

რეზოლიუციის მე-7 პუნქტში ესენი იმეორებენ ძველ ზღაპარს:

— ბოლშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ სოციალიზმი მიისწრაფვის სრულ გამარჯვებისკენ დემოკრატიზმის გზით, მხოლოთ თავისუფალ დემოკრატიის პირობებში, მხოლოთ სიტყვის, ბეჭდვის, კრების და კავშირების სრული თავისუფლების გზით.

— უმცირესობის დიქტატურა უმრავლესობის წინააღმდეგ გამოიწვევდა ხანგრძლივ სამოქალაქო ომს, რომელიც ისედაც გაღატაკებულ მსოფლიო მდგომარეობას, კიდევ უფრო დასცემდა, დაღუპავდა პროლეტარიატს და მწარედ დაამარცხებდა მას.

რომ უბრალო ენით ვთქვათ, ამ 15 ბრძენმა სთქვეს:

— სოციალისტური გარდაქმნისათვის ნიადაგი მზადაა, მაგრამ, ვინაიდან სოციალისტური რევოლიუცია იწვევს სამოქალაქო ომს, ამიტომ მას თავი უნდა დავანებოთო.

ამის შემდეგ ნუ გაგიკვირდებათ, მენშევიკური ცეკა თავის თეზისებში გერმანიის ამბების შესახებ, გერმანიის, პროლეტარიატს ურჩევს თავი დაანებოს ბრძოლას ძალა-უფლების ხელში ასაღებათ და შეურიგდეს საფრანგეთის იმპერიალიზმს.

— მოლაპარაკება საფრანგეთთან დაინტერესებულ ძალების ჩარევით (ინგლისი, ამერიკა. ა. რ.) და ერთნაირი შეთანხმება მისცემს გერმანიას შედარებით მშვიდობიანობას, მისცემს საშუალებას გარეშე კრედიტის ასაღებათ რურში მუშაობის განსაახლებლათ და სხვა... ესაა საღი პოლიტიკა და მის განხორციელებას შეუდგა კოალიციური მთავრობა სოციალისტური პროლეტარიატის აქტიური მონაწილეობით... ამიტომ, როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატია, აგრეთვე მთელი სოციალისტური ინტერნაციონალი მხარს უჭერს დღეს გერმანიის მთავრობის ცდას საფრანგეთთან შერიგების შესახებ.

მართლა ბეცი უნდა იყოს დღეს ის სოციალისტი, რომელიც შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციიდან გამოსავალს ეძებს დღევანდელ პირობებში იმპერიალიზმთან პროლეტარიატის მორიგებაში.

და ასეთ რეცეპტს სოციალიზმის იმპერიალიზმთან შეერთების შესახებ იგონებენ მხოლოთ გზადაბნეული მეორე ინტერნაციონალის დაბრმავებული აგენტები...

ეს ხალხი თავიანთ თავს უწოდებენ მარქსისტებს.

მაგრამ ამ რეზოლიუციებში მარქსიზმის ნატამალიც არაა.

მიუხედავათ იმისა, რომ აზრი იმის შესახებ, თუ „რა ვქნათ"—უნდა მუშავდებოდეს ყოველთვის არსობრივად, ამა თუ იმ გარემოების მიხედვით, მაინც შეგვიძლია დავადგინოთ საერთო ძირითადი და სახელმძღვანელო წესები მარქსიზმის რევოლიუციური ტაქტიკისთვის. ასეთი ძირითადი დებულებანი არის აღნიშნული „კომუნისტურ მანიფესტში". ენგელსი ლაპარაკობს ამაზე თავის წერილში მარქსისადმი 23 ოქტომბერს 1846 წ. როცა საზღვრავს, თუ რა არის სოციალიზმი. ტაქტიკურ დებულებათა საერთო დასკვნებს მარქსი და ენგელსი აკეთებენ „კომუნისტურ მანიფესტის" მეორე და მეოთხე თავში. აგრეთვე „კომუნისტთა კავშირის ცირკულიარულ წერილში" (მარტი 1850).

ძირითადი დებულებანი, მარქსიზმის რევოლიუციურ ტაქტიკას, რომ საფუძვლად უდევს, შემდეგია:

1. წინააღმდეგობა, შეურიგებლობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატის შორის.

2. პროლეტარიატის ბრძოლა **რევოლიუციურია**. მისი მიზანია—ბურჟუაზიის დამხობა. ტაქტიკა ისე უნდა იქნეს ამუშავებული, რომ წინააღმდეგობა კი არ გადაფუჩჩდეს, არამედ ხაზი გაესვას და წინ წამოდგეს.

3. ბრძოლა მასსიურია, ამიტომ ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს მასის გათვითცნობიერება.

4. თავისი ობიექტიური მდგომარეობით პროლეტარიატი ბელადია ყველა გაყვლეფილისა და დაჩაგრულის.

5. ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შორის არსებულ წინააღმდეგობიდან ერთად-ერთი გამოსავალია—შეცვლა ბურჟუაზიული კერძო საკუთრების საზოგადოებრივი კომუნისტური საკუთრებით.

6. რევოლიუცია სტიქიური მოვლენაა. ის შედეგია საწარმო ძალთა და ეკონომიურ ურთიერთობათა შორის არსებულ წინააღმდეგობის განვითარების. ამ წინააღმდეგობის განსაკუთრებით გამწვავებას იწვევს კრიზისები და ომები. რევოლიუცია არის განსაკუთრებით გამწვავებულ კლასობრივ შეტაკებათა ხანა. რევოლიუციის დროს ირღვევა მრავალი დამპალი დაწესებულება, თვითცნობიერებაც ჩქარა იზრდება. რევოლიუციის ამ ხანაზე უნდა ვფიქრობდეთ, მისთვის უნდა ვემზადოთ, იმით უნდა ვისარგებლოთ პროლეტარიატის პოზიციის გასამტკიცებლად.

7. როგორც თვით კაპიტალიზმი, ისე მისი საწინააღმდეგო ბრძოლა—საერთაშორისო მოვლენაა.

8. საერთაშორისო მდგომარეობა იმდენათ მომწიფებულია, რომ გამწვავების დროს შეგვიძლია ბრძოლა განვავითაროთ, გავაფართოვოთ, შევქმნათ მუშათა მთავრობა, გამოვაცხადოთ პროლეტარიატის დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა.

9. კლასობრივ საზოგადოებიდან უკლასო საზოგადოებაში გადასვლა წარმოადგენს ხანგრძლივ **ხანას კლასობრივ ომებისას**, რაიც ხდება მუდამ ცვალებადს გარემოებაში.

10. სამოქმედო პროგრამის შემუშავების დროს გარემოება ისე უნდა გავითვალისწინოთ როგორც არის, უნდა გამოვიდეთ არსებულ მდგომარეობიდან, დავემყაროთ **ფაქტების მტკიცე საფუძველს**.

11. ვიდრე ვაჭრობა, ბაზარი და კაპიტალიზმი არსებობს, ძირითადი ფაქტი არის შეურიგებელი წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატის შორის. ეს არის საფუძველი, საიდანაც უნდა გამოვიდეთ ტაქტიკურ საკითხთა გადაჭრის დროს.

ეხლა შევადაროთ ამ 15 კაცის აზრი რევოლიუციონურ მარქსიზმის დებულებებს, და ვნახოთ, რომ ამ ხალხს კაი ხანია დაუვიწყნია მარქსიზმი.

პროლეტარიატის ბრძოლას ძალა-უფლებას აღებისთვის ყოველთვის მოყვება სამოქალაქო ომები, „ხანგრძლივი ხანა კლასობრივ ომებისა".

მარქსიზმი არ უარყოფს ამას და არც გაურბის ამის გამო რევოლიუციას.

ეს 15 კაცი კი ამბობს:

— ვინაიდან პროლეტარიატის ბრძოლას მოყვება სამოქალაქო ომი, ამიტომ ის მიუღებელიაო.

რევოლიუციონური მარქსიზმი სასტიკი წინააღმდეგია ბურჟუაზიასთან მორიგების, დათმობის.

ეს 15 კაცი კი ურჩევს თავისი ჭკუით გერმანიის პროლეტარიატს შეურიგდეს საფრანგეთის იმპერიალიზმს.

თუ რა აზრის იყო სოციალიზმის მასწავლებლები და კერძოთ ენგელსი დემოკრატიის როლის შესახებ რევოლიუციის პროცესში, ეს აშკარათ სჩანს ენგელსის წერილიდან ბებელისადმი. 11 დეკემბერს 1884 წელს ენგელსი სწერს:

„რაც შეეხება წმინდა დემოკრატიისა და მის მნიშვნელობას მომავალში, მე ვფიქრობ, გერმანიაში იგი გაცილებით ნაკლებ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს შედარებით ძველ სამრეწველო ქვეყნებთან. მაგრამ ეს მას არ შეუშლის ხელს რევოლიუციის დროს მოკლე ხნით მოიპოვოს დროებითი მნიშვნელობა უკიდურესი ბურჟუაზიული და ფეოდალური მეურნეობის უკანასკნელ მხსნელად. **ასეთ მომენტში მთელი რეაქციური მასა მის გარშემო იყრის თავს და აძლიერებს მას.** მაშინ დემოკრატიულად ცხადდება ყოველივე, რაც კი რეაქციონური იყო. ასე მოხდა 1848 წ., როცა მთელი ფეოდალურ-ბიუროკრატიული მასა მარტიდან სექტემბრამდე მხარს უჭერდა ლიბერალებს, რომ დაემშვიდებიათ რევოლიუციონური ხალხი, ხოლო როცა ეს შესრულებულ იქნა, თავისთავად ცხადია, მათ ლიბერალები კინწის კვრით გაყარეს. ასე მოხდა საფრანგეთშიაც 1848 წ. მაისიდან ბონაპარტეს არჩევნებამდე სექტემბერში, როცა „ნაციონალის“ წმინდა პარტია, ყველაზე უფრო უკიდურესი, მხოლოდ იმიტომ ბატონობდა, რომ მხარს უჭერდა მის ფრთის ქვეშ შეკავშირებული მთელი რეაქცია. ასე იყო ყველა რევოლიუციაში. ხელისუფლებას იპყრობს ყველაზე უფრო მოშინაურებული პარტია (რევოლიუციურ პარტიათა შორის), რომელსაც კიდევ შერჩენია უნარი მართვა-გამგეობისათვის (მდიდრებისებურად) სწორედ იმიტომ, რომ დამარცხებულნი მხოლოდ ხედავენ შველის უკანასკნელ შესაძლებლობას. რასაკვირველია, იმის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, რომ კრიზისის დროისთვის ჩვენ მხარეზე ამრჩეველთა უმრავლესობა, ერის უმეტესობა იქნება.

მთელი ბურჟუაზიული კლასი, ფეოდალური მფლობელი კლასის ნაშთნი, წვრილი ბურჟუაზიის და სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თავს მოიყრის მაშინ იმ უკიდურესი ბურჟუაზიული პარტიის გარშემო, რომელიც მხოლოდ სიტყვით ამყარებს თავის უკიდურეს რევოლიუციონერობას. მე სრულიად შესაძლებელი მგონია, რომ იგი წარმოდგენილი იქნება დროებით მთავრობაში და შეიძლება იქ ცოტა ხნით უმრავლესობაშიც იქნეს. თუ როგორ არ უნდა მოიქცენ, როდესაც უმცირესობაში მოხვდები,—ეს დაგვიმტკიცა ჩვენ პარიზის თებერვლის მთავრობის სოციალ-დემოკრატიულმა უმცირესობამ 1848 წ. მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ აკადემიური ხასიათისაა.

რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ გერმანიაში საქმის ვითარებამ სხვა მიმართულება მიიღოს, სწორედ სამხედრო მიზეზების გამო. ახლანდელ პირობებში გარეგანი საბაბი შესაძლებელია მისცეს მხოლოდ რუსეთმა. თუ ეს საბაბი არ იქნება და საქმე გერმანიიდან დაიწყება, მაშინ რევოლიუცია შესაძლებელია მხოლოდ ჯარიდან დაიწყოს. თანამედროვე ჯარის წინაშე შეიარაღებული ხალხი სრულ არარაობას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, ე. ი. თუ აქტიურად გამოვლენ ჩვენი სათადარიგონი 20—25 წლისა, რომელიც არჩევნებში არ მონაწილეობენ, მაგრამ სამხედრო სწავლაში იწვრთნებიან,—მაშინ შეიძლება კიდეც გადავატეთ წმინდა დემოკრატიას. მაგრამ დღეს ეს საკითხიც აკადემიურია, თუმცა მე, როგორც პარტიის მთავარი შტაბის წარმომადგენელმა, უნდა გავითვალისწინო ეს შესაძლებლობაც. ყოველ შემთხვევაში კრიზისის დროს და კრიზისის მეორე **დღეს ჩვენი ერთად-ერთ მოწინააღმდეგედ გამოვა მთელი რეაქციონური მასსა, რომელიც გაერთიანდება წმინდა დემოკრატიის გარშემო. და აი ეს, მე ვფიქრობ, ყოველ შემთხვევაში უნდა გვქონდეს მხედველობაში“.**

და აი ამ რეაქციონურ დემოკრატიის იმედით მუშაობენ დღეს ის პირნი, რომლებიც თავიანთ თავს სოციალისტის სახელით ნათლავენ.

ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ მთელ იმ გზაში, რომელზედაც თავდაქანებით მიდიან დღეს მეორე ინტერნაციონალი და მისი აგენტები, არაა არაფერი სოციალისტური და მარქსისტული.

და ეს დღეს არავისთვის საიდუმლეობას არ შეადგენს.

ამას მჭერმეტყველურად მოწმობენ თვით მათი რეზოლიუციები და დეკლარაციები.

ა. რ—ძე.

პოლიტიკურ პარტიათა დაშლა.

I.

„კომუნისტური რევოლიუცია არის არსებული ქონებრივი ურთიერთობის ყველაზედ უფრო რადიკალური უარყოფა, და რაღა გასაკვირველია თუ თავის განვითარების მსვლელობაში იგი ყველაზედ უფრო რადიკალურად არღვევს ტრადიციულ იდეებს.“

კომუნისტური მანიფესტი გვ. 87.

მრავალი „ტრადიციული იდეია“ დაანგრია „კომუნისტურმა რევოლიუციამ“. მთელი საზოგადობრივი ცხოვრების მაჯისცემა სხვა გვარად ამუშავდა. გუშინდელი ლამაზი იდეალი დღეს მახინჯად გვეჩვენება, გუშინდელი პროგრესისტი დღეს რეგრესისტია, გუშინდელი რევოლიუციონერი დღეს რეაქციას ამაგრებს, გუშინდელი პოლიტიკური ფორმულა დღეს უნაყოფო აზრადაა ქცეული.

ეს რადიკალური ცვლილება, რომელიც შედეგია ძლიერი სოციალური სტიქიის, თავისი მხრივ იწვევს პოლიტიკურ ძალთა, პარტიათა გადაჯგუფებას. საქართველოს პოლიტიკურმა ცხოვრებამ ამ მხრივ დიდი ცვალებადობა განიცადა. ყველა პოლიტიკური პარტიის წიაღში თავი იჩინა ახალმა ნაკადმა, ახალმა გზამ. ეს პროცესი პარტიათა ცხოვრებაში არ არის მარტო საქართველოს ან საბჭოთა რესპუბლიკების მაშტაბით. იგი ევროპიულ მაშტაბით მიმდინარეობს. საფრანგეთის სოციალისტური პარტია კომუნისტური პარტიის მშობელი ხდება, იტალიის სოციალისტურ პარტიაში ბრძოლაა, სერატისა და ტურატის დაპირისპირება და პირველის შესვლა კომინტერნში. გერმანიაში სპარტაკი, კომპარტიის აღმოცენება, დამოუკიდებელთა გამოყოფვა სოციალ-დემოკრატიისაგან, $2^1/_2$ ინტერნაციონალის შექმნა, მისი გაუქმება და დაბრუნება 2 ინტერნაციონალის ოჯახში და მრავალი სხვა ააშკარავებს, რომ პარტიათა რღვევა—შენება დიდის მასშტაბით ვითარდება.

ჩვენს მიზანს შეადგენს ამოვიცნოთ მიზეზები ამ მნიშვნელოვანი პროცესისა. გამოვარკვიოთ ის ობიექტიური პირობები, რაც ხდება წყაროდ ასეთი მოვლენებისა. კერძოდ გავითვალისწინოთ საქართველოში მომხდარი ფაქტების შინაარსი და მისი გამომწვევი ფაქტორები.

როდესაც $2^1/_2$ ინტერნაციონალმა თავისი არსებობა დაიწყო კომუნისტურმა პრესამ იგი სისწორით შეაფასა. ამბ. კ. რადეკი სწერდა, რომ მას არ აქვს დიდი ხნის სიცოცხლეო, რომ იგი ვერ შეჩერდება იმ საშუალო პოზიციებზედ, რომელსაც სურს დაეყრდნოსო. ეს პროგნოზი სავსებით გამართლდა. რევოლიუციონური მოძრაობის განვითარებამ და თანამედროვე ძალთა ჭიდილმა $2^1/_2$ ინტერნაციონალი ისევ ოპორტიუნისტთა და რეფორმისტთა ოჯახის კანონიერ შვილად აქცია, რომელიც მცირე ხნის განდგომის შემდეგ დაუბრუნდა თავისი მშობელს. 2 ნახ. ინტერნაციონალის სულის ჩამდგმელნი, რომელნიც სიტყვიერად პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ გვლაპარაკებდენ გვერდში ამოუდგენ შტრეზემანს და იგივე ჰილფერდინგი ფინანსთა მინისტრის როლში მოგვევლინა, რომელიც უკანა კარებიდან გამოდევნა ბურჟუაზიამაც.

რატომ ხდება ყოველივე ეს? ნუ თუ მხოლოდ იმიტომ, რომ პერსონალურად, პიროვნულად ეს ხალხი მოღალატეა? ნუთუ კომპარტიის რიგების გაძლიერებაც საბჭოთა რესპუბლიკებში მხოლოდ მშიშარა ხალხისა და კარიერის მძებნელთა დიდი რაოდენობით აიხსნება? რასაკვირველია ასეთი ახსნით ვერ დავიკმაყოფილებთ ჩვენ თავს. გერმანიაში, სამწუხაროთ, ჯერ „ჩეკა“ (საგანგებო რაზმი) არ არსებობს, მაგრამ კომპარტიის წევრთა რიცხვი ძალზე იზრდება, ხოლო სოც.-დემოკრატების რიცხვი სისწრაფით ეცემა. არც მოღალატეობაა მარტო იმის მიზეზი, რომ მეორე ინტერნაციონალის მამები პროლეტარიატის სისხლით არიან გათხუპნულნი, რომელთა ხელები გუშინ ვერსალის ზავს ასვამდენ ბეჭედს, ხოლო დღეს ბოლგარეთის მუშების ამბოხებებს ახჩობენ ვრანგელთან ერთად ან შტრეზემანს დასტურს აძლევენ წითელი ტიურინგიის ჩასაკლავად, რაც ობიექტიურად მონარქისტებს ხელს უწყობს, რომლებმაც დაიპყრეს ბავარია.

ამ მოვლენების მიზეზი ჩვენი ეპოქის გაგებაში და თანამედროვე საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში მარხია. ობიექტიური, მატერიალური საფუძველი პარტიათა დაშლის აქ უნდა ვეძიოთ. რამდენიანაც შრომასა და კაპიტალის შორის გამართული ბრძოლა უკიდურესობას აღწევს, რამდენადაც გარდა-

მაგალი პერიოდის სივრცეზედ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის დაპირისპირება ორ დიამეტრალურ მოწინააღმდეგე ბანაკს აჩენს, იმდენად შეუძლებელი ხდება საშუალო კლასების ინიციატივით შექმნა საშუალო პოზიციისა, რომელსაც შეეძლოს მოწინააღმდეგეთა შერიგება, მათი დაპირისპირების მოხსნა. ეს ბრძოლა კი თავის თავად, სტიქიურად ახდენს ძალთა გადაჯგუფებას, სწარმოებს პოლიტიკურ პარტიების დაშლის პროცესი, მეორე მხრივ ადგილი აქვს მერყევი ელემენტების გამორკვევას, რომელნიც უკავშირდებიან ერთს ან მეორე მებრძოლ ძალას. ეს გადაჯგუფება ემყარება კლასობრივ დიფერენციაციას. კლასობრივი ინტერესი მიაქანებს წვრილ-ბურჟუაზიას, გლეხობას პროლეტარიატისაკენ იქ, სადაც პროლეტარიატის ხელშია ძალა უფლება, ხოლო ბურჟუაზიისაკენ იქ, სადაც ბურჟუაზიაა გაბატონებული. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი ხდება გლეხობა, რომლის კლასობრივ ინტერესებს იცავს მშრომელთა ძალაუფლება, ამიტომ არის, რომ წვრილი ბურჟუაზიაც ურიგდება საბჭოთა ხელისუფლებას და აღარ იბრძვის მის წინააღმდეგ. ამიტომ არის რომ საფრანგეთში ესეევ ძალები რეაქციას ამაგრებენ და რევოლიუციისათვის არ წარმოადგენენ სათადარიგო რეზერვს.

აქ ყველაზედ აშკარად სჩანს, რომ თანამედროვე ისტორიას კლასთა ბრძოლა ქმნის, ეკონომიური კონიუნქტიურას გამოყავს ბრძოლის არენაზედ დაჩაგრული ერებიც, რადგან მეტროპოლიის კაპიტალის ბატონობა იწვევს რეაქციას კოლონიის მცხოვრებთა შორის.

განსაკუთრებული სახე უნდა მიეღო პარტიათა ურთიერთობას საბჭოთა რესპუბლიკებში. სანამ ყველა პარტია „ხალხის ინტერესებისათვის“ ქადაგებდა, მანამ პარტიათა რიცხვის სიდიდეს ერთგვარი მნიშვნელობა ქონდა. მაგრამ ყოველი პოლიტიკური პარტია კლასის ინტერესების მატარებელია, რამდენადაც პარტია კაპიტალისტურ საზოგადოებაში კლასობრივ ნიადაგზე შენდება. როგორადაც გატაცებული ბედის მაძიებელნი არ შეიკრიბონ, როგორი ლამაზი იდეებიც არ უნდა შეიმუშავონ, და დაარსონ პარტია, ისინი გარიყული დარჩებიან თუ თავისი ანგარიშში არ აიღენ რომელიმე კლასი და მისი ინტერესების დაცვას არ შეუფარდეს პოლიტიკური ბრძოლა.

მხოლოდ ის პოლიტიკური პარტია სცოცხლობს და ვითარდება, რომლის საფუძველია ძლიერი საზოგადოებრივი კლასი.

საბჭოთა ქვეყნებში, როდესაც ძალა უფლება პროლეტარიატის ხელში გადავიდა სხვა კლასები დიქტატურის ქვეშ მოექცა. პოლიტიკური პარტიები შეეჯახენ პირისპირ კლასობრივ ბრძოლას, სამოქალაქო ომს. ამ ბრძოლამ მოახდინა ძალთა გადაყოფა. ბარიკადების იქეთ მოექცა როგორც მონარქისტები, კადეტები და არა სოციალისტები, ისე ესერები და მენშევიკებიც, რომლითაც წინათ დიდი რევოლიუციონური წარსული ჰქონდათ. რატომ? იმიტომ, რომ ესერებისა და მენშევიკების ცოცხალი ბაზა იყო წვრილი ბურჟუაზია, ის უფრო დემოკრატიული ელემენტი იყო, ვიდრე სოციალისტური.

გადამწყვეტი ბრძოლის დროს, სანამ გამარჯვებას უზრუნველყოფდა პროლეტარიატი, ეს ძალები რეაქციის ბანაკში მოექცა, ხოლო დღეს მათში საღი ელემენტები რევოლიუციას დაუბრუნდა. ეს ძირითადი კლასობრივი მომენტი იყო პარტიათა დაშლის მიზეზი. მარქსი ამბობდა, რომ პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ, ბურჟუაზიის ნაწილი, რომელიც თავისი დამარცხებაში დარწმუნდება, პროლეტარიატის ბატონობას შეურიგდებაო. მართლაც დაწყებული კადეტებიდან და გათავებული ანარქისტებით ყველა პარტიაში თავი იჩინა განხეთქილებამ. წარმოიშვა ახალი ფრთები, ახალი ჯგუფები, ნაწილი წავიდა მარჯვნით, ნაწილი მარცხნივ. ეს პროცესი მეტად მტკივნეული იყო პარტიებისათვის, მაგრამ ამას მოითხოვდა გარდამავალი პერიოდის ლოღიკა.

ა. კ.

გასამართლეგის კოვედია.

ლოზანაში დაიწყო ამხ. ვოროვსკის მკვლელის ფაშისტ კონრადის გასამართლება.

ყველას ახსოვს ალბად ის ვერაგული მკვლელობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა „განათლებულ“ შვეიცარიაში.

ლოზანის კონფერენციაზე წარგზავნილ საკავშირის რესპუბლიკების დელეგაციის თავჯდომარე ამხ. ვოროვსკი, სახელმწიფოების ოფიციალური წარმომადგენელი, რევოლვერის ტყვიით სასიკვდილოთ დასჭრა ვიღაც შავრაზმელმა კონრადიმ, ყოფილმა თეთრმა ოფიცერმა.

აღსანიშნავია რომ სანამ მკვლელობა მოხდებოდა შვეიცის ფაშისტურმა ლიგამ საბჭოთა დელეგაციას წინადადება მისცა—დაეტოვებია ლოზანა, ხელი აეღო საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესების დაცვაზე, დაეთმო ბურთი და მოედანი და წასულიყო.

ფაშისტურმა ლიგამ ვერ მოინელა ის, რომ ლოზანაში საბჭოთა დელეგაცია, რომელიც შეეცდებოდა დაეცვა მშრომელთა ინტერესები, რომელიც ამხილებდა იქ შეყრილ იმპერიალისტურ ხროვის ნამდვილ ბუნებას და სულისკვეთებას და გაბედულათ იტყოდა მუშურ გლეხური ხელისუფლების სიტყვას. ვერ მოითმინა და აკი მოისყიდა ავანტიურისტი თეთრგვარდიელი აფიცერი, დაავალა მოკვლა დელეგაციის თავმჯდომარისა და მით შეეცადა მიეღწია მიზანს. კონრადიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას.

ერთგულათ ემსახურება თავის ბატონებს. ის მიდის რესტორანში, სადაც ჩვეულებრივ სადილობს ამხ. ვოროვსკი, ესვრის და კლავს მას.

იქვე მყოფ დელეგაციის თანამშრომლებთან არ იშურებს ენერგიას და ორთავეს დასჭრის. „წესიერებისა და მყუდროების“ დამცველი ლოზანის პოლიცია რამოდენიმე ხნის შემდეგ იგებს მომხდარ ამბავს.

წარმოიდგინეთ ბატონ კონრადის ნერვიულობაც კი დაეტყო პოლიციის გადამეტებულ დაგვიანების გამო.

ზედმეტი ერთგულება გამოიჩინა პოლიციამ, თვით კონრადიც უკმაყოფილო დარჩა; ბევრი ალოდინეს.

შავრაზმელმა კონრადიმ პირნათლად შეასრულა ფაშისტური ლიგის დავალება. მოჰკლა ამხ. ვოროვსკი.

დასჭრა დვილიკოვსკი, არენსი, და თითქოს აქ არაფერიაო, მშვიდათ წავიდა პოლიციის სააგენტოში.

და მართლაც განა კონრადის რაიმეს უნდა შინებოდა?

მან ხომ კარგად იცოდა, რომ ფაშისტური ლიგა და შვეიცარიის მთავრობაც თავეს გამოიდებდა მისთვის.

და ამიტომაც იყო რომ საფრთხეს არ მოელოდა, წყნარად და დინჯათ, მიემართებოდა პოლიციის შენობისაკენ ამ საზიზღარი მკვლელობის შემდეგ.

რას მიაღწია ფაშისტებმა?

გეგმის პირველი ნაწილი თითქოს შეასრულეს.

საბჭოთა დელეგაციის მეთაური მოსპეს და ამით თითქოს გარიყეს ის ლოზანის თითბირის ასპარეზიდგან.

მეორე ნაწილში კი კოვზი საესებით ნაცარში ჩაუვარდათ.

საერთაშორისო კაპიტალიზმი სცდილობდა როგორმე გამოეწვია საბჭოთა კავშირი; ომში ჩაება.

მას შემდეგ, რაც მათი ცდა ინტერვენციის ბლოკადის და სხვა და სხვა ხრიკების საშვალებით საბჭოების მოსპობისა, დამარცხდა და გაკოტრდა, მათ მხოლოდ ეს გზა ღა დარჩენიათ.

ამიტომაც იყო, რომ ასეთი საზიზღარი ტეტორისტული აქტი ჩაიდინეს.

მათი ანგარიშები ნათელი იყო.

საბჭოთა რესპუბლიკები არ მოითმენს შეურაცყობას, შეეცდება დაიცვას თავის პრესტიჟი, ულტიმატუმებს წარმოადგენს, ხოლო ულტიმატუმების საპასუხოთ ჩვენ მას ომით გავუმასპინძლდებით და სრულიად ავლგვით დედამიწის პირიდგანაო.

როგორც ვთქვით ანგარიშებში მოსტყუვდენ.

რასაკვირველია, საბჭოთა რესპუბლიკები ამ შეურაცყოფას არავის აპატიებს.

ასეთი ანგარიშების გასწორების წამი კიდევ მოვა.

ხოლო მაშინ და დღესაც მას ომი არ სურს, შინაური საქმეების კეთებას შეუდგა, თავის ახალ სახელმწიფოს აშენებს და არ სცალია ომისათვის.

მეორე კიდევ ჩვენ შორის და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ერთი დიდი განსხვავება არის ამ მხრივ.

მაშინ, როდესაც შეურაცყოფილმა კაპიტალისტურმა სახელმწიფომ შური უნდა იძიოს თვითვე და მით აღადგინოს შელახული პრესტიჟი. ჩვენ ამას არ ვსაჭიროებთ.

ჩვენს მაგიერ შურს იძიებს იტალიის და შვეიცარიის პროლეტარიატი, როდესაც იქ დაამხობს არსებულ წყობილებას და წითელ დროშას აიფრიალებს მის ნანგრევებზე.

ჩვენს მაგიერ ამხ. ვოროვსკის სისხლს აიღებს საერთაშორისო პროლეტარიატი.

აი ეს შურისძიება გაცილებით მძლავრი, გაცილებით მიზანშეწონილი იქნება.

ჩვენ არ წამოვეგეთ პროვოკაციულ ანკესზე.

საბჭოთა დიპლომატიამ მშვიდობიანათ გამოიყვანა ჩვენი ხომალდი ატეხილ ქარიშხალიდან.

იმიტომ, რომ ჩვენ არ გვსურს ომი, უკეთ, ჩვენ არ გვცალიან მისთვის. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ უარი ვსთქვით შურისძიებაზე. მთელი ჩვენი მუშაობა, მთელი ჩვენი არსებობა, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება. ეს მიზანია დამხობა კაპიტალისტურ საზოგადოებისა.

ეს იქნება უდიდესი შურისძიება და მასთან უდიდესი ზეიმი საბჭოთა კავშირის და მსოფლიო მშრომელი მასსისა.

ჩვენ არ გვაინტერესებს დღეს ის თუ რა განაჩენს გამოიტანს შვეიცარიის ფაშისტური სასამართლო. ჩვენ წინდაწინ ვიცით, რომ ავაზაკი კონრადი გამართლებული იქნება სრულიად ან და მცირე სასჯელს მიიღებს.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კონრადი როგორც კაპიტალისტური ხროვის წარმომადგენელი, პასუხს აგებს მომავალ პროლეტარული სასამართლოს წინაშე: რევოლიუციონური ტრიბუნალის წინაშე.

და იქ მიეზღვება მას სათანადო. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის თეთრი ემიგრაცია სცდილობს გამოიყენოს ეს პროცესი, როგორც გასამართლება არა ბოროტმომქმედის, ავაზაკის, კაცისმკვლელისა, არამედ როგორც გასამართლება საბჭოთა რესპუბლიკებისა.

ესეც საკმაოთ ახასიათებს სასამართლოს, რომელიც შეუდგა გასამართლების კომედიის თამაშს.

კეთილი.

მარცხი მარცხზე.

5 სექტემბერს თბილისში შეკრებილმა 15 მენშევიკმა მიმართა მოწოდებით მარქსისტულ ახალგაზრდობას მაგრად მდგარიყვნენ თავიანთ „პოზიციაზე“ და მომავალშიაც განეგრძოთ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მოწოდებაში ჩვეულებრივი ენით არის ჩაწერილი ძველი ზღაპრები ჩეკაში ახალგაზრდების წვალების შესახებ, ნაძალადევათ კონფერენციების გამართვის შესახებ და სხვა ასეთი სადემაგოგიო მასალები.

შემდეგ ეს 15 კაცი, რომელიც თავის კრებას უწოდებს კონფერენციას, მოუწოდებს ახალგაზრდა მარქსისტებს:

— ახალგაზრდა ამხანაგებო! განაგრძეთ ბრძოლა თქვენს ეკლიან, მაგრამ სწორ გზაზე. „კომსომოლას“ ხულიგანობას და შპიონაჟს წინ დაუყენეთ თქვენი იდეიური მუშაობა.

31 ოქტომბერს კი ახალგაზრდა მარქსისტების სრულიად საქართველოს ყრილობაზე, სადაც წარმოდგენილი 5000-ზე მეტი მანდატი, ახალგაზრდა ამხანაგებმა სასტიკი პასუხი გასცეს ამ მოწოდებას. მათ მონახეს თავისი გზა და მაგრად დადგენ რევოლიუციონური მარქსიზმის პლატფორმაზე. მენშევიზმს კი შეაქციეს ზურგი.

ეს იყო თავზარდამცემი დამარცხება იმ ორიოდე მენშევიკის, რომლებიც მუშების დაკარგვის შემდეგ ფიქრობდენ დასაყრდნობ წერტილის მონახვას ახალგაზრდობაში.

მაგრამ აქაც ბედმა ულალატა მათ, მიუხედავათ იმისა, რომ მათი აგენტები არავითარ საშუალებას არ თაკილობდენ, რომ როგორმე გაემარჯვებიათ ამ ყრილობაზე.

მეორე დიდი დამარცხება იგემა მენშევიკურმა ცეკამ ოქტომბრის დღესასწაულების დროს.

მან მოწოდებით მიმართა ყველა თავის „ორგანიზაციებს“ და მუშათა კლასს:

— „სრული ბოიკოტი, არც ერთი მუშა, გლეხი, ახალგაზრდა და პატიოსანი მოქალაქე არ უნდა დაესწროს საოკუპაციო მთავრობის დღესასწაულს. ამ გაფრთხილების გაგებისთანავე თქვენ საჩქაროთ უნდა შეუდგეთ მზადებას. ყველას უნდა აცნობოთ ეს, აუხსნათ და გაურკვიოთ ოქტომბრის დღესასწაულის მნიშვნელობა საერთოდ და კერძოთ საქართველოს ერისთვის, ჩვენი დამოკიდებულება მისდამი.

ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი არსებული ორგანიზაციები ჩაატარებენ ამ კომპანიას და ამით დაანახვებენ ქვეყანას, რომ ეს დღესასწაული არის არა ქართველი ერის და მისი მუშათა კლასის, არამედ მოსკოველ საქართველოს დიქტატორების“.

თუ როგორ შეხვდა ქართველი ერი და მისი მუშათა კლასი ამ ცირკულიარს, აშკარათ დაინახა ყველამ 7 ნოემბერს.

არასოდეს ჩვენში ოქტომბრის დღესასწაულს არ ახსოვს იმდენი ხალხის მოზღვავება, როგორც ამ დღეს.

რამდენიმე ვერსზე იყო გაშლილი პროცესია.

დიდუბე გაჭედილი იყო ხალხით. ასეთი ზღვა ხალხი არც ერთ დღესასწაულზე არ უნახავს არავის.

მაგრამ, რაც დამახასიათებელია, აქ იყო არა მარტო მუშები და მოსამსახურეები, აქ იყვნენ უბრალო მოქალაქეებიც, რომლებიც თავისი ნებით მოვიდენ და იღებდენ მონაწილეობას დღესასწაულში.

აუარებელი კერძო ეტლები და ფეხითაც მოაწყდენ მოქალაქეები დიდუბეს.

თითქო ცეკას გასაჯავრებლათ მოვიდა ამ დღესასწაულზე მუშ მოსამსახურეთა გარდა ისეთი ხალხიც, რომელსაც წინეთ ნაკლებათ შეხვდებოდით ასეთ დღესასწაულებზე.

ამნაირად სრული ბოიკოტი გამოეცხადა არა ოქტომბერს, არამედ თვით მენშევიკურ ცეკას.

ასეთი სასტიკი დამარცხებით გათავდა მენშევიკური ცეკას დონ-კიხოტობა, როგორც ახალგაზრდა მარქსისტების, ისე ოქტომბრის დღესასწაულის მიმართ.

ნაცნობი.

P. S. მენშევიკური ცეკას საყურადღებოთ. სტუდენტობა საერთოდ წინეთ არ გამოდიოდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოწყობილ დღესასწაულებში. ამ წელს კი გამოვიდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ დღესასწაულებში.

ნ.

პოლიტიკურ გადასახლეგულთა შესახებ.

სრულიად საქართველოს ს. დემოკრატიულ ორგანიზაციათა ყრილობამ დიდი გავლენა მოახდინა როგორც ადგილობრივ პოლიტიკურ ტუსაღებზე, ისე გადასახლებულებზეც. უსათუოდ მოხდა ძველი ტაქტიკის გადაშინჯვა და ახალი გზების ძებნა. მენშევიკური ტაქტიკა ივ სახით, როგორც ამას არალეგალური ცეკა აწარმოებს, დღეს არავის არ სწამს. გარდატეხა უკვე ფაქტია. ნაწილმა პოლიტიკურ გადასახლებულებისა იმდენი გამბედაობა და რევოლიუციონერობა გამოიჩინა, რომ პირდაპირ და აშკარად აღიარა წარსულში დაშყებული შეცდომები და გულწრფელად და შეგნებულად დადგა ჩვენს პოზიციაზე. ნაწილი კი მენშევიკებს უკვე მოშორდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არც ჩვენთან მოდის. ხოლო ნაწილი სულით და გულით მწყურვალეა დაგმოს ანტი რევოლიუციონური მუშაობა წარსულში და ჩვენ ამოგვიდგეს გვერდში შავ ძალებთან ბრძოლაში, მაგრამ ის „პარტიის“ მაღალი ფენების ტეროორის ქვეშ იმყოფება და ჯერ კიდევ ყოყმანობს, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებს. ტრადიციული უკრიტიკო დაჯერება „პარტიის“ მაღალ ფენების წარმომადგენლებისათვის ზოგიერთებს იქაც გაყოლია და საკუთარი გზით სვლას, საკუთარი გონების ამუშავებას ვერ ახერხებენ. ეს მაღალი ფენები კი აცხადებენ, რომ ისინი ვითომ ეროვნულ ფრონტზე იბრძვიან და თავის თავს სამხედრო ტყვეებათ სთვლიან. ყველასათვის აშკარაა, რომ ისინი სამხედრო ტყვეები კი არ არიან, არამედ პოლიტიკური გადასახლებულები. და რა წამსაც ისინი სცნობენ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოს ნამდვილ ხელისუფლებად და გასწყვეტენ ყოველგვარ კავშირს ევროპის, თუ შინაურ შავ ძალებთან, იმ წამსვე ისინი დაბრუნებულ იქნებიან საქართველოში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გადასახლებულთა დაბალი ფენები, რომელნიც მოქცეულნი არიან ზოგიერთ ფანატიკოსების გავლენის ქვეშ, სულ მალე განთავისუფლდებიან მათი გავლენისაგან და კვლავ დაუბრუნდებიან მუშათა კლასს, რომ მის რიგებში იბრძოლონ პროლეტარიატის დიკტატურის განსამტკიცებლად და და კომუნიზმის დასამყარებელად.

ამის ნიშნები უკვე არის, და შორს არ არის ის დრო, როცა ის „მაღალი ფენები“ იქაც ისე ჰაერში გამოკიდულნი დარჩებიან, როგორც აქ დარჩა ეგრედ წოდებული არალეგალური ცეკა.

ვ. სიხ—ძე.

პატრიოტიზმის მონოპოლია.

განსაკუთრებულ ხანაში ვცხოვრობთ. ცხოვრება საშინელის სისწრაფით მიექანება წინ. ფაქტები ტრიალებენ როგორც კალეიდოსკოპში. მას, რაც გუშინ კერპათ იყო აღიარებული, დღეს ისტორია სანაგვე ყუთში აგდებს და ის, რაც გუშინ მიმალული იყო, მზეზე გამოდის, ფრთებს ისწორებს. ასე სჩვევია მუდამ გარდამავალ ხანას. როდესაც შერყეულია ძირ-ბუდიანათ ეკონომიკა, დაშლილია, სულ ერთია ცუდათ თუ კარგათ დაწყობილ დალაგებული, ურთიერთობანი სოციალურ-ჯგუფთა შორის, იშლება და ირღვევა ამ დალაგებულ ეკონომიურ ურთიერთობათა ანარეკლი ადამიანის ფსიქიკაში, მის წარმოდგენაში. ბევრს ეს აშინებს, ისინი ვერ ერკვევიან ელვის სისწრაფვით ფაქტების და მოვლენების ცვლაში და განზე დგებიან, ბევრს იმედი ეკარგება წონასწორობას დამყარების შესაძლებლობაში, გული უცრუვ-

დება მომავალზე და უკიდურესობაში ვარდება.

ფრიდრიხ ენგელსი კარლ მარქსის წიგნის „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე“ წინასიტყვაობაში ამბობს „ამა თუ იმ ხანის ეკონომიური ისტორიაზე ნათელი წარმოდგენა თანამედროვეთათვის ფრიად ძნელიაო; ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც შეკრებილია და შესწავლილია სათანადო მარალებიო“.

ჩვენ თანამედროვენი ვართ ამ დიდი მოვლენებისა, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენს გარშემო და ჩვენს ცხოვრებაში. ბევრში დაინტერესებულნი ვართ, როგორც ამა თუ იმ სოციალური კლასის წარმომადგენლები, ბევრს მოვლენას თვითვე ვაღრმავებთ ან გვსურს შეგაჩეროთ. აქ ინტერესთა შეჯახება უმთავრესს როლს თამაშობს, მაგრამ ეს ინტერესთა შეჯახება ქმნის მოვლენის ბრძოლის მონაწილეებში რეაქციას, გამოწვევას ფსიქოლოგიაში. და ხდება ის, რაც ხდებოდა მუდამ კაცობრიობის ისტორიის სივრცე-სიგანეზე. რეალური, მატერიალური ინტერესები ვითომ უკანა პლანზეა, თითქოს არა ისინი თამაშობენ გადამწყვეტ როლს, და მზის სინათლეზე გამოდის ერთის შეხედვით უანგარო, უმწკივლო „სულიერი ინტერესი“, მაღალი კათეგორიის მოთხოვნილებანი. ერთს ასეთს მოვლენას აქვს ადგილი დღეს ჩვენს სინამდვილეში და გვსურს ამ მოვლენაზე შევჩერდეთ.

ეს ერთი ხანია რაც ჩვენს ქვეყანაში დიდის რიხით და დარბაისული სიმძიმით მოიკალათა პატრიოტობამ. ისტორიულათ ეს ქალბატონი ბურჟუაზიის შვილია. მაშინ, როდესაც ეს ხელსაყრელია, ბურჟუაზია მართავს მას ფარვანასავით, თავს ევლება, როგორც მოსიყვარულე დედა, თუ მისი მატერიალური ინტერესები მოითხოვენ—კიდევაც გააქირავებს. ფულით სიწმინდესაც და სინიდისსაც იყიდი—ეს ბურჟუაზიის იდეოლოგიაა.

საფრანგეთის ემიგრანტები ინგლისის ფულით ვანდეასა და ბრეტანის გლეხების სისხლს ყიდულობდენ, რომ გამარჯვების შემდეგ ეს სისხლი ფულათ გადაედუღებინათ და პიტტის ინგლისის ბურჟუაზიისათვის მიეცათ როგორც გასამრჯელო. ტიერის მთავრობამ 5 მილიარდი ფრანკათ იყიდა ბატონობის შესაძლებლობა პარიზის პროლეტარიატზე. ეს საშინელი დაცინვა იყო ვერსალელების მხრით იმ კომუნარებისადმი, რომელნიც საარაკო გმირობით იცავდენ სამშობლოს. სჩანს პატრიოტების ყიდვაც შესაძლებელი ყოფილა და გაყიდვაც—ამ ხალხისთვის. გერმანეთთან ომის დროს რუსეთის ბურჟუაზია ღებულობდა ისეთ პროცენტებს, რომ ამას რუსეთში „подлые проценты“ დაარქვეს; „სამშობლოს დამცველთა“ შორის ბევრი იყო ებრაელობაც, ჯარის კაცები, და ქალები. ტულის გუბერნატორი ლაზარეთ-ქსენონებიდან გაწერილ ებრაელ ჯარის-კაცებს ასახლებდა და აპატიმრებდა, ესაო და მათ „право жительства“ არა აქვთო. ქართველი ბურჟუაზია ძმობა ერთობაზე გაიძახოდა, ხოლო როდესაც საქართველოს აღმოსავლეთ ცაზე ღრუბლები იკრიბებოდა ერთი მისი პასუხისმგებელი წარმომადგენელი საქართველოდან ჯოგს ოსმალეთში მიერეკებოდა ნაცვლათ იმისა რომ „ძმობა-ერთობა“ გამოეჩინა და ქართული ჯარისათვის ლუკმა პირიდან არ გამოეტაცა. ეს იყო 1920 წელს.

ასეთია ისტორიული ნარკვევი.

მაგრამ უბედურობა ისტორიული გაკვეთილების დავიწყებაში არ არის. უბედურება იმაშია, რომ ბრმა პატრიოტობა დღეს თვალ-ხილულივით დადის ჩვენში. მისთვის ღიაა კარები არა მარტო ფანჩატურებში და ნოხებით მორთულ ოთახებში. უბედურება იმაშია, რომ ბევრი მშრომელი ბრმათ მიყვება ამ ბრმა პატრიოტობას და, რაც უფრო სამწუხაროა ჩვენთვის, ამხანაგებშიაც ბევრი ყავს ამას პატივის მცემელნი. დღეს თუ პატრიოტობა ბურჟუაზიული შემეცნებით არ გესმის, თუ „შენი ჭირიმეს“ არ ეუბნები ქართველ თავადსა და ბურჟუას, თუ ტაშს არ უკრავ საქართველოზე ტირილს მოღალატე ხარ და ქართველი ერის ორგული. და ამას მეთაურობენ მარტო ისინი, ვინც ეს ღმერთმა უბრძანა მუშებისათვის თვალის ასახვევათ, ამას ლოცავენ ჩვენი ყოფილი ამხანაგები. ამათ პატრიოტობა მონოპოლიათ გამოაცხადეს. პატრიოტობა, საერთოდ, ახალი ხილია ქართველი მენშევიკებისათვის და შეიძლება ამ ახალმა ხილმა გაიტაცა ისინი. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ აქ დამოუკიდებლობა არაფერი შუაშია, აქ თამაშია წვრილ-ბურჟუაზიული გრძნობებზე და ერთ ამათგანი ასეთ ბრმა პატრიოტობაა, რომელიც შოვინიზმამდე მიდის. როდესაც პროლეტარიატი ერის გეგემონია ის ზრუნავს ამ ერზე, ერი მიყვება მას, ვინაიდან ის ხედავს ამ გეგემონიაში თავისი თავის დაცვას თუნდაც მისი ბურჟუაზიისაგან. სამშობლოსადმი სიყვარული იმას არ ნიშნაას, რომ სთქვა—ჩემი ქვეყნის სამზღვრის იქით რაც არის ეს ეშმაკისააო. არა! ეს კეთილშობილური გრძნობაა, რომელიც გავალებს ერთნაირი პატივცემით მოეპყრა შენსას და სხვისას. ხოლო შოვინიზმი შენის გაღმერთებაა, რაც უნდა ცუდი იყოს ესენი და სხვისის დამცირებაა, რაც უნდა კარგი იყოს ეს სხვისი.

ეს საჭიროა გავიგოთ. რომ თავი გავართოთ იმ მოვლენებს, რომელნიც საშინელი სისწრაფვით გვევლინებიან თავს, არ დავკარგოთ წონასწორობა. ამ წონასწორობის დაკარგვით აიხსნება ის, რომ დღეს მენშევიკური რიგებში ბევრია ისეთნი, რომელთაც არც წარსული არც მომავალი არ აკავშირებს არც ამ პარტიასთან, არც მუშათა კლასთან. პატრიოტობის მონაპოლიათ გამოცხადებამ ერთ ბანაკში მოუყარა თავი იმათ, ვინც ხვალ თვით პატრიოტობის მონოპოლისტებს დაეჯდება თავზე თუ ფაშიზმმა გაიმარჯვა.

და თუ ბევრისთვის, როგოც თანამედროვეთათვის, ფრიად ძნელია, ენგელსის თქმის არ იყოს ნათელი წარმოდგენა ყველა იმაზე, რაც ხდება, ეს მაინც ძნელი არ უნდა იყოს, რომ დავინახოთ ვინ ჩაჯდა პარტიის ყოფილ-ნავში და რა განზრახვებით. საჭიროა ეს ნავი სოციალიზმის ნაპირისკენ ვატაროთ, ამისთვის რომ მანტიული გრძნობები რეალურ ინტერესებს უნდა დავუმორჩილოთ. და ეს ინტერესები უპირველესათ ყოვლისა კლასის ინტერესებია.

ბევრი ამხანაგები, რომელნიც ჩვენთან არ მოდიან იმიტომ, რომ წარსულზე ტირიან, ამას ივიწყებენ და ამ დავიწყებას ისინი მიყავს მოპირდაპირე ბანაკში, სადაც ჩვენს წარსულს კოჯორზე დღესაც დასცინიან.

აი აღმაშფოთებელი მაგალითი: ქართველი დეკლასიური ინტელიგენციის (ამ ინტელიგენციას თავი საქართველოს ჭირისუფლათ მოაქვს) ერთ-ერთ ორგანოში იყო შარშან მოთავსებული ლექსი მარო მაყაშვილის ქალზე. ამ ლექსში იყო დიდი მწუხარება და ღრმა სევდა ამ გმირ ქალზე. იმავე გაზეთში იმავე ლექსის გვერდით იყო ლექსი სათაურით „ჩიბის“. ამ ლექსშიც იყო დიდი მწუხარება და ღრმა სევდა ჩიბის უდროოთ დაკარგვაზე.

ვინ არის ეს ჩიბის?

ეს თურმე ერთი ჩვენი პატრიოტი პოეტის ძაღლი ყოფილა, ძაღლი ჩაძაღლებული, მაზე ლექსი დაუწერიათ და მისი სახელი მარო მაყაშვილის გვერდით დაუსვამთ.

თქვენ, დიდო პატრიოტებო, არ გრძნობთ თქვენ თავს შეურაცყოფილათ? მაროს საფლავთან ძაღლის ლეშს რა უნდა?

ვაი სირცხვილო, ამხანაგებო, რომ ასეთ ხალხიდან დღემდე არ გაიმიჯნენთ! ასეთი ხალხთან „ეროვნული ფრონტი“ მხოლოთ თავისი თავი შეურაყოფაა!...

რ. ქორქია

საერთაშორისო გლეხთა პირველი კონფერენცია.

10 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა საერთაშორისო გლეხთა კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილ იყო 40 სხვადასხვა სახელმწიფო და ერი. კონფერენციის გახსნას ზეიმის და დღესასწაულის ხასიათი ჰქონდა.

10 ოქტომბერს მოსკოვის კრემლში პირველად შეიკრიბა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელნი და გაეცნენ-რა ერთმანეთს, პირველად ჩამოართვეს ერთმანეთს მხურვალედ ხელი, როგორც ეს ქნა გერმანიის დელეგატმა, რომელმაც თავისი სიტყვის შემდეგ ხელი ჩამოართვა საფრანგეთის დელეგატს. ამით მათ ამცნეს ყველას, რომ გერმანიის და საფრანგეთის გლეხებს არაფერი არა აქვთ გასაყოფი და სამტრო, მხოლოდ მათ ერთმანეთს უსისინებს ორივე ქვეყნის ბურჟუაზია და მემამულეები.

კონფერენციის მუშაობა მეტად საინტერესო და შინაარსიანი იყო. რუსეთის ცაკის წევრი, გლეხი ფომინი სწერს თავის შთაბეჭდილებებში: „იმის შესახებ, რაც მე გლეხთა პირველ საერთაშორისო კონფერენციის მუშაობის დროს განვიცადე, მინდა ვწერო, ვილაპარაკო და ხმამაღლა ვიყვირო ყოველ გზა-ჯვარედინზეო“.

კონფერენციამ მოისმინა საფრანგეთის დელეგატის ვამზეის მოხსენება თემაზე: „ბრძოლა ზავისათვის“. მან მოუთხრო კონფერენციას, რომ საერთაშორისო ომიდან საფრანგეთი თუმცა გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ გლეხების მდგომარეობა ომით არ გაუმჯობესებულა, პირიქით, გაუარესდა, აუარებელი მსხვერპლი შეიწირა ომმა, მრავალი დასახიჩრდა და მშრომელ მასსას გამოაკლდა. ომით ჯიბეები გაისქელეს მხოლოდ კაპიტალისტებმა და მემამულეებმა.

გლეხობა კი განადგურდა და დაღარიბდა. გადასახადები გაიზარდა. ვამზეი ამბობს, რომ მას არ უნახავს არცერთი ინვალიდი ბურჟუაზიის წრიდან, ხოლო გლეხების და მუშათა წრიდან ინვალიდებით სავსეა საფრანგეთიო.

როდესაც ეს მშიერი ხალხი პურს სთხოვს მთავრობას, პუანკარე მათ ეუბნება, რომ დამნაშავეა გერმანიის მუშა და გლეხი, რომელიც დროზე არ გვიხდის გადასახადსო.

გერმანელ დელეგატმა კი აღნიშნა, რომ გერმანელ მშიერ მუშას და გლეხს კაპიტალისტები ეუბნებიან, საფრანგეთის მუშა და გლეხია დამნაშავე თქვენს უბედურებაში, შეიარაღდით და შური იძიეთ მათზეო. ასე უსისინებს სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზია გლეხებს და მუშებს ერთმანეთს. გარდა ამისა თვითეული მთავრობა უსისინებს ერთმანეთს თავისი ქვეყნის გლეხებს და მუშებს.

კონფერენციამ განიხილა მრავალი სხვა საკითხები, ერთმანეთს გაუზიარეს სხვა და სხვა ქვეყნის გლეხებმა თავიანთი ჭირ-ვარამი, მონახეს საერთო ენა. 5 დღე იმსჯელეს და დასასრულ აირჩიეს საერთაშორისო გლეხთა საბჭო. ამ საბჭოს მთავარი ამოცანებია.

1) გაძლიერება ბრძოლისა მთელი ქვეყნის გლეხობის გასანთავისუფლებლად კაპიტალისტების და მემამულეების მონობისაგან, 2) დაცვა მთელი ქვეყნის გლეხობის ფართო მასსების ინტერესებისა და გლეხური მეურნეობის აწევა, 3) მაგარი კავშირის დამყარება ყველა ქვეყნის გლეხობის ეკონომიურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, 4) გლეხობის დაახლოვება მუშებთან,--სოფლის—ქალაქთან მსოფლიო და ნაციონალური მასშტაბით, რომ ერთად იბრძოლონ მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ. 5) საერთაშორისო გლეხთა საბჭო თავის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად სთვლის მთელი ქვეყნის მუშათა ორგანიზაციებთან ძმური კავშირი დაამყაროს, 6) გაერთიანება ყველა გლეხური ორგანიზაციებისა და მიმდინარეობათა ყველა ქვეყნებში შემდეგ მთავარ ლოზუნგის განსახორციელებლად: „მუშათა და გლეხთა მთავრობა“.

აი ასეთია მთავარი ამოცანები საერთაშორისო გლეხთა საბჭოსი. საბჭომ აირჩია პრეზიდიუმი და გენერალური სეკრეტარიატი. გენერალურ სეკრეტრად არჩეულ იქნა რუსეთის მიწათ-მოქმედების კომისარი ამხ. სმირნოვი. საბჭომ გადასწყვიტა აგრეთვე მოსკოვში გახსნილ იქნას აგრარული ინსტიტუტი გლეხებისათვის. ეს ინსტიტუტი უნდა მოეწყოს მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გლეხთა საერთაშორისო კონფერენციას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ კონფერენციაზე გამოირკვა, რომ კაპიტალისტებთან და მემამულეებთან ბრძოლაში მუშები მარტო არ არიან. მათთან იქნებიან გლეხებიც. კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე ბუხარინმა სხვათა შორის სთქვა: „ახლა პროლეტარიატმა იცის, რომ ის გაიმარჯვებს, თუ კი გლეხები მასთან ერთად იბრძოლებენ. ამას წინეთ კი ეს არ იყო ნათელი. მხოლოდ რუსეთის მაგალითზე გამოირკვა, რომ საჭიროა გლეხების და მუშების კავშირი“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ კავშირს სწორედ საძირკველი ჩაუყარა გლეხთა საერთაშორისო კონფერენციამ, სადაც ძმურად გადაკოცნეს ერთმანეთი სხვა და სხვა ქვეყნის გლეხებმა და აღიარეს ყველა ქვეყნის მუშებთან კავშირის აუცილებლობა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ.

გერმანიის ამბებისაკენ მიქცეულია დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღება. ყველა უთვალთვალებს იმ პოლიტიკურ კრიზისს, რომელსაც გერმანიის სინამდვილეში აქვს ადგილი. ზოგს ეს კრიზისი გულუბრყვილოთ აღფრთოვანებს და წითელ რევოლიუციის სურათს უხატავს დღესვე, ხოლო ზოგს შიშის ზარსა სცემს წითელი ძალების მოახლოვების მოლოდინი. არსებითად კი საკითხი არც ასე სიმარტივით წყდება. გერმანიის ცხოვრებაში რაღაც შეუძლებელი ხდება ის სტიქიური აფეთქება, რომელსაც ადგილი ქონდა სხვა ქვეყნებში. აქ ძალთა განწყობილების რადიკალური ცვლილებებს ნაკლებათ აქვს ადგილი. მდგომარეობის გართულება, უკიდურესი პოლიტიკური და ეკონომიური დეპრესია, სოციალ-დემოკრატების წარმოუდგენელი დაცემა და ღალატი კიდევ საკმაო არ ხდება მუშათა მასების რევოლიუციონურ თავდასხმების და გაძლიერებისათვის.

კომუნისტური პარტია **თანდათან** ძლიერდება, სოციალ-დემოკრატია **თანდათან** უძლურდება, მაგრამ ეს კიდევ ისეთი სისწრაფით არ სწარმოებს, რომ უცებ, ერთბაშად შეუძლებელი ხდებოდეს ან რეაქციის ან რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება.

არავითარ საიდუმლებას არ წარმოადგენს, რომ სოციალ-დემოკრატიამ მეტად დიდი რაოდენობა ხანძართ მჭრობელი რაზმისა მიასია და ბურჟუაზიის ბუნაგი გადაარჩინა განადგურებას. მეორე ინტერნაციონალმა ისტორიულ, წარუხოცველი და მიუტოვებელი დანაშაული ჩაიდინა გერმანიის მშრომელი ხალხისა და გერმანიის ერის მიმართ, რომელიც სხვა ლაქასთან ერთად არაჰსოდეს წარიხოცება მისი მოღვაწეობიდან.

შტრეზემანის მთავრობის გამაგრება, უკიდურეს ზომებზედ ხელის მოწერა, წითელ ტიურინგიის დამხობაზედ თანხმობა, ყოველივე ეს აპარბებს უბრალო დემოკრატიულ სინდისის ფარგლებსაც კი.

ამ გარემოებამ არსებითად ხელი შეუწყო უკიდურეს მემარჯვენეთა გათავხედებას და ფაშიზმს. ბავარიაში კარის მთავრობაც მემარცხენე აღმოჩნდა იმ მონარქისტულ ძალებთან შედარებით, რომლებმაც დაამხვეს ბავარიის მთავრობა ჰიტლერის ხელმძღვანელობით და მონარქისტული გადატრიალების წინაშე დააყენეს ქვეყანა.

შტრეზემანის სიტყვიერი მუქარა უნაყოფო წყლის ნაყვაა და აკი ფაშისტებს ეს მუქარა სასაცილოთაც არ ყოფნით. ისინი ბერლინზე გალაშქრებასაც კი ამზადებენ და ფაქტიურ საიმპერიო მთავრობის დეკლარაციებს შეიძლება ბოლო მოუღონ.

სოციალ-დემოკრატია აქ ზედმეტი ბარგი გახდა, იგი გამოაძევეს მთავრობიდან, რადგან მან შეასრულა თავისი როლი ბურჟუაზიის სამსახურში. მისი დემოკრატიული მოთხოვნილებანიც მიუღებელი გახდა განებივრებული ბურჟუაზიისთვის.

ამ რიგად შტრეზემანს დღეს ნაციონალისტებთან უხდება საუბარი და საერთო ენის ძებნა. აქ უეჭველად არის დაცული ლოგიკა. სოციალ-დემოკრატიამ ვერაფერი გააკეთა ვერც მთავრობაში მონაწილეობით, გარდა მუშათა კლასის ინტერესების ღალატისა მისდა უნებლიედ და ვერც იქედან გამოსვლით შესაძლოა რაიმე რეალური ღირებულების აქტის მოხდენა.

თავის თავად ამ გარემოებას ერთი დადებითი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ. იგი ხელს უწყობს სოციალ-დემოკრატიის დაშლას, მისი ავტორიტეტის გაკოტრებას მუშათა მასებში.-

რა მდგომარეობაა მოსალოდნელი გერმანიაში? რა მოვლენების წინაშე შეიძლება დავდგეთ? ამაზე კატეგორიული პასუხის გაცემა ჯერ-ჯერობით ძნელია, მართალია წითელი საქსონია და ტიურინგია აღარ არსებობს, ისიც მართალია, რომ ბავარიაში მონარქისტები თარეშობენ, ისიც ფაქტია, რომ შტრეზემანის მთავრობა მეტად უძლური და უსუსურია, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა იმის აღსანიშნავად, რომ რეაქციის გამარჯვება უეჭველად უზრუნველყოფილია. შეიძლება მუშათა კლასმა შტრეზემანის მთავრობის სისუსტე თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, თუმცა უფრო მოსალოდნელია, რომ ფაშისტების მოძრაობამ ხელში ჩაიგდო სგერმანეთის სვე ბედი. ერთი ყოველ შემთხვევაში აშკარაა: ფაშისტების გამარჯვება არ ნიშნავს მათი დიდი ხნით გაბატონებას. ჩვენ არა გვაქვს არავითარი საბუთი იმის სასარგებლოდ, რომ ფაშისტებს შეეძლოს გერმანიის მდგომარეობის გაუმჯობესება, ხოლო გარეშე ამისა სრული ოცნებაა გერმანეთში რომელიმე ძალის გამაგრება. გერმანეთის კრიზისი ამსხვრევს ყოველივე ძალას და ეს ბედი ეწეოდათ ფაშისტებს, თუ ისინი ხელისუფლების სათავეში მოგვეველინებოდენ.

არის ერთი გარემოება, რომელიც ხელს უწყობს გერმანეთის ფაშიზმის დამარცხებას. ეს გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ გერმანეთი დამარცხებული ქვეყანაა. აქ ფაშისტებს არაფერი არ შეუძლიათ გარდა რევანშისა მოკავშირეების მიმართ, ხოლო ფაშისტური რევანში ეს იქნებოდა ავანტიურა გერმანეთის ხალხის მიმართ და იმპერიალიზმის პირში მისი მიცემა. არც ობიექტიური პირობა არის იმის სასარგებლოდ, რომ გერმანეთის ფაშისტებმა შესძლონ დიდ ხნობით გამარჯვებულ მდგომარეობაში დარჩენა.

ერთად ერთი გზა გერმანეთის აღსადგენად არის მშრომელთა ხელისუფლების შექმნა და დაკავშირება საბჭოთა რესპუბლიკებთან. აქ შეიძლება გერმანეთს გაეხსნას ხელი აღორძი-

ნებისთვის, ჩვენი ნედლი მასალა, ჩვენი პური ნახშირი, ნავთი, ბამბა და გერმანეთის ინდუსტრია და მანუფაქტურა ერთად შედუღებული იქნებოდა როგორც ჩვენი, ისე გერმანეთის წარმატების უტყუარი პირობა.

მართალია, არც ისე ადვილად შეურიგდებიან მოკავშირენი გერმანეთის რევოლიუციას, მაგრამ ისიც ცხადია, რომ არც ისე ადვილად მივატოვებთ ჩვენ დასავლეთის იმპერიალისტებთან ბრძოლაში მარტო.

გერმანეთი ან უნდა დაეცეს და განადგურდეს რეაქციის გზით ან იგი უნდა აღსდგეს და ამაღლდეს რევოლიუციის საშუალებით. ისტორია ამ მეორე გზას მოითხოვს ობიექტიურად და არ იქნება გასაკვირი თუ შტრეზემან—ჰილტლერ--ლიუდენდორფის ლეშზე გადაბიჯებით აღიმართოს წითელი დროშა გერმანეთის პროლეტარული რევოლიუციისა.

კ.

უცხოეთი

პოლონეთის ამბების გარშემო..

ის საერთო ეკონომიური ქაოსი და ამ ნიადაგზე საერთო არევ-დარევა, რომელიც ახასიათებს დღევანდელ ევროპას და რომელიც ბურჟუაზიის ეკონომისტებისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა თქმითაც გადაშენების გზაზე აყენებს მათი აზრით მთელ განათლებულ ევროპას, ხოლო ჩვენის აზრით მხოლოდ ევროპის თანამედროვე კაპიტალისტურ წყობილებას ახასიათებს პოლონეთსაც.

პოლონეთის ეკონომიური ცხოვრება დღეს უაღრესად აწეწილ-დაწეწილია.

არ არის გადამეტება იმის თქმა, რომ ევროპის სხელმწიფოთა შორის, გერმანიის შემდეგ ამ მხრივ პოლონეთის მდგომარეობა ყველა სახელმწიფოზე უარესია.

ერთი მხრივ ის უცხო სახელმწიფოებისაგან, განსაკუთრებით საფრანგეთიდგან, აღებულ ვალებში იღრჩვება, ხოლო მეორე მხრივ, შინაური ცხოვრების მოუწესრიგებლობამ დასცა სრულიად სახელმწიფო ფულის ნიშანი და მით კიდევ ათას წილად გააღარიბა, ისედაც ახალი ჯერ კიდევ წელ მოუმაგრებელი სახელმწიფო.

ასეთი მდგომარეობა იწვევს მცხოვრებთა საოცარ გაღატაკებას, ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ კაპიტალისტთა ხროვის საზღაპრო გამდიდრებას.

ერთად ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, სოციალისტური რევოლიუცია არის.

ერთად ერთი ხსნა და გზა პროლეტარიატის მიერ ძალა უფლების ხელში აღებაშია; წინაღმდეგ შემთხვევაში საშინელი ექსპლოატაცია, შიმშილობა, პირველი საჭიროების საგნების უქონლობა, მიიყვანს მცხოვრებთა უმრავლესობას მშრომელ მასებს სრულ ფიზიკურ დაუძლურებამდე.

მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, უსათუოდ ექნება ადგილი გადამჭრელ ბრძოლას. უკიდურესობამდის მისული შრომლიე მასსა იარაღით ხელში გამოეფინება ქუჩებზე, აღმართავს ბარიკადებს და ტყვიის მფრქვეველთა რაკრაკის ხმაზე რევოლიუციის სიმღერას დასჭექს.

პირველი მერცხლები უკვე მოფრინდა ამ რამოდენიმე დღის წინათ, პოლონეთის გაძვალტყავებულმა, ეკონომიურ გაჭირვების გამო უკიდურესობამდი მისულმა მუშებმა აიძულეს პოლონეთის სოციალისტური პარტია—გაფიცვა გამოეცხადებია.

გაფიცვა რომელიც ეკონომიურ ნიადაგზე იქნა გამოცხადებული, დაბოლოს პოლიტიკურ ბრძოლად გადაიქცა და მუშებმა ჯარების ერთი ნაწილის დახმარებით ქალ. კრაკოვი ხელში ჩაიგდო ნაწილობრივ.

კრაკოვის პროლეტარიატი დარწმუნდა იმაში, რომ მშვიდობიან მოლაპარაკებით კაპიტალისტებთან ვერას გახდებოდა და იარაღით ხელში გამოვიდა თავის უფლებათა მოსაპოვებლათ, აღიმართა კრაკოვში წითელი დროშა, დაირაზმა პროლეტარული რაზმები, დასცა აჯანყების ყიჟინა. ნაწილი ჯარისა მიიმხრო.

მეორე ნაწილი გავიდა ქალაქის გარეთ. ხოლო ქალაქი მუშათა მილიციის ხელში აღმოჩნდა.

საჭირო იყო ხელმძღვანელობა, გაძღოლა რევოლიუციონური მასსის და ძალა-უფლების მოპოება თუ არა, იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ბრძოლა მაინც, რისთვისაც დაიწყო გაფიცვები.

მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში?.

იმის მაგიერ, რომ პოლონეთის სოციალისტურ პარტიას ხელმძღვანელობა გაეწია აჯანყებული ხალხისათვის, იმის მაგიერ, რომ მას ეკონომიურ მოთხოვნილებათა მოპოებისათვის მაინც ებრძოლა ბოლომდის, მან პირველი გასვლისთანავე იბრუნა პირი, უარი სთქვა ყოველგვარ ბრძოლაზე, მოითხოვა გაფიცვის დაუყონებლივ შეწყვეტა.

შეეშინდა სამოქალაქო ომის, და დეზორგანიზაცია შეიტანა გაფიცვებში.

ამრიგათ კრაკოვის აჯანყებამ დამარცხება განიცადა ეგრედ წოდებულ სოციალისტური პარტიის წყალობით.

მან ის მინიმალური მოთხოვნილებაც კი ვერ დაუკმაყოფილა მუშათა კლასს, რომლისთვისაც გამოცხადდა გაფიცვა.

გაფიცვა შესწყდა ანუ უკეთ დამარცხდა.

გაფიცულ მუშებს ჩვეულებრივი ზომებით უმასპინძლდება გამარჯვებული ბურჟუაზია.

დაიწყო ოპერაციები, დაპატიმრება, სამუშაოდან დათხოვნა, ბევრს გაფიცულთაგანს არ იღებენ უკან სამუშაოთ.

იკეტება მუშათა კლუბები და სხვა...

მაგრამ რას ფიქრობს ქვეყნის მესვეურები, გაუმაძღარი მყვლეფელები.

ნუ თუ მათი ფიქრით კრაკოვის აჯანყებას არ მოყვება სხვა გაცილებით ძლიერი და უკვე გადამჭრელი, მათი ამლაგმველი გრანდიოზული აჯანყება?

რასაკვირველია, მანამ სანამ პოლონეთის მშრომელი მასსა ნაწილობრივ ჯერ კიდევ უპყრია პეპეესოველებს, მანამ, სანამ ამ ბურჟუაზიის ერთგულ მოსამსახურის სიტყვას ჯერ კიდევ გასავალი აქვს, მანამ ბურჟუაზიას პოლონეთში შეუძლია ტკბილათ იცხოვროს.

ერთგული დამცველი გაუკეთებს საქმეს ჩინებულათ, შეიძლება თვით მასზე უკეთესადაც.

მაგრამ ჩვენ ვიცით ისტორიაში ისეთი მაგალითები, როდესაც გამოფხიზლებული მასსა, ძირიან ბუდიანათ სპობს ბურჟუაზიასაც, და მის ამყოლ-დამყოლებსაც უკან მიაყოლებს ხოლმე.

ჩვენ გვაქვს ისეთი მაგალითები, როდესაც უკიდურესობამდის მისული მშრომელი მასა ბევრს ითმენს, თავს იკავებს, მაგრამ დაბოლოს მაინც პოულობს თავის ნამდვილ წინამძღოლს და მისი ხელმძღვანელობით აკეთებს საკუთარ საქმეს.

ეს ხელმძღვანელი, ნამდვილი დამცველი და გზის მაჩვენებელი კომუნისტური ინტერნაციონალია და მისი სექციები სხვადასხვა ქვეყნებში.

უკანასკნელი მაგალითი ნათლათ დაანახვებს იმათ, ვინც კიდევ რაიმე იმედებს ამყარებდა შემთანხმებელ სოციალისტებზე, რომ შემთანხმებელნი ღუპავს მუშათა საქმეს, ხელ უშლის მას ბრძოლაში, არა თუ საკაცობრიო იდეალებისათვის ბრძოლაში, არამედ ვიწრო ეკონომიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაშიც.

ეხლა მაინც დარწმუნდებიან ურწმუნო თომანი, რომ, რაც მეტი და ხანგრძლივი იქნება გავლენა შემთამხმებელთა მასსაზე, მით ნაკლები შანსებია, მით ნაკლები იმედია პროლეტარიატის გაძლიერებისა. პროლეტარიატის მორიგი ამოცანა არის განთავისუფლება სრულიად მათი გავლენისაგან და რევოლიუციონური წითელი დროშის ქვეშ თავის მიერ მტკიცე რაზმების შედგენა.

დეე დამარცხდეს პოლონელ მუშების გაფიცვა. ის ერთხელ კიდევ დაანახვებს მათ ნამდვილ გზას და შემდეგ ბრძოლებში გამობრძმედილნი, გაემართებიან ისინი წინ მედგრათ და შეუპოვრათ, ახლოვდება ჟამი ბრძოლათა და გამარჯვებათა.

ვერავითარი ხრიკები; ვერავითარი პეპეეს ვერ გადაეღობება მას წინ.

თანაბედროვე კაცობრიობა ვულკანებზე სცხოვრობს.

მიწის ქვეშ წამ და უწუმ გაისმის მძლავრი გუგუნი, მოახლოებულ რყევა-ნგრევისა.

ხან აქ ხან იქ იფეთქებს ხოლმე პაწია ვულკანები, წინამორბედი დიდი კატასტროფებისა.

ბულგარეთი, ჰამბურგი, საქსონია და ბოლოს პოლონეთი, აი ადგილები, სადაც ნაწილობრივ იფეთქა დაგუბულმა უკმაყოფილებამ მასსებისა, გადაირბინა გაფიცვების და აჯანყების გრიგალმა.

ახლოვდება ჟამი, როდესაც საფუძვლიანათ შეირყევა არსებული წყობილება, დაინგრევა მიწასთან გასწორდება და მის ნანგრევებზე, ახალი ჯერ არ ნახული მშრომელთა კოპწია სამეფო აღიმართება.

დღეს პოლონეთში მოხდა აჯანყება, გუშინ ბულგარეთში, ხვალ კიდევ სხვაგან იქნება...

ეს პირველი მერცხალია გაზაფხულის მოახლოვების ამბის მომტანი. მთავარი ბრძოლები წინ არის, და ამ ბრძოლებისთვის ემზადება მუშათა კლასი, ჰკრებს თავის რიგებს, იერაზმება.

მასთან, ვისაც ამოძრავებს დიადი საკაცობრიო იდეალები.!

დაირაზმეთ მის მწყობრ რკინისებრ რიგებში!

კლდე.

ეკონომიური ცხოვრება

მრეწველობას უკვე ტემპი აქვს

საბჭოთა რუსეთში გიგანტიური მუშაობა სწარმოებს მრეწველობის აღსადგენათ. ამ მიზნისთვის სახელმწიფო არ იშურავს არც ხარჯებს, არც ენერგიას და არც არაფერს. ყველაფერი და ყოველივე წარმოება—მრეწველობის მოწესრიგების საქმეს ხმარდება.

და წარმოებაც წინ მიდის. ის აღორძინების გზაზეა შემდგარი. მაგრამ ეს აღორძინება მიმდინარეობს ნელის ნაბიჯით. სხვაფრივ არც შეიძლება იყოს. ერთი ხელის დაკვრით წარმოება—მრეწველობის აღდგენა არავის არ ძალუძს.

მაგრამ, რაც მთავარია, მრეწველობამ უკვე შეიძინა ტემპი. მის მოძრაობაში ნახტომებს არ აქვს ადგილი, არამედ ის მიმდინარეობს ტემპიურად, ე. ი. განუწყვეტლივ. ადგილი არ აქვს არც მწვავე კრიზისებს და არც ასეთივე აწევას.

ეს კი დიდი საქმეა. ექვსი წელია, რაც საბჭოთა ხელისუფლება იბრძვის ეკონომიურ ფრონტზე და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ მიმდინარე წელში შეიქნა ისეთი პირობები, რომ მრეწველობამ ტემპიურად იწყო განვითარება.

რუსეთის უ. ს. მ. ს. გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობები აგვისტოში მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. ეს ციფრები ფრიად სასიამოვნო სურათს იძლევა.

აღრიცხვაზე აღებულ სახელმწიფო მრეწველობის 80 პროცენტს დაუმუშავებია 80 მილიონი ომამდე არსებული მანეთის პროდუქცია აგვისტოში, ხოლო ივლისში—70 მილიონი მანეთის. საერთოდ ივლისი და აგვისტო მრეწველობაში მკვდარ თვეებად ითვლება. მიუხედავად ამისა ჩვენ ვხედავთ, რომ აგვისტოშიაც ქონია ადგილი მრეწველობის პროდუქციის ზრდას.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორი იყო პროდუქცია მიმდინარე საწარმოო წლის განმავლობაში მეოთხედების მიხედვით.

ავიღოთ საშუალო პროდუქცია წლის მეოთხედების:

	ომამდე არსებულ მილიონ მანეთებში.
ოქტომბერი—დეკემბერი	82.
იანვარი—მარტი	87.
აპრილი—ივნისი	85.
ივლის—აგვისტო	75.

ამ ციფრებიდან ყველასათვის გასაგებია, რომ სახელმწიფო მრეწველობა ვითარდება თანდათანობით, მას აქვს ერთგვარი ტემპი. განსხვავება წინეთ კვარტალებს შორის მეტად დიდი იყო. ამ ჟამად კი მხოლოდ 9 პროცენტის ფარგლებშია ეს განსხვავება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთმა დარგებმა, როგორიცაა: მთიდან ამოღებული მრეწველობა, ელექტრო—ტეხნიკური და ქაღალდის, აგვისტოში მოგვცა მაქსიმალური პროდუქცია,

ლითონის მრეწველობა კი აგვისტოში ჩამორჩა არა მარტო სეზონით მაღალ თვეებს, არამედ მაისის—ივნისის თვეებსაც კი, როცა მრეწველობა საერთოდ დაცემას განიცდის.

მრეწველობის აღორძინებამ გადალახა თითქმის სეზონური მდგომარეობაც, რომელიც ძალიან დიდ როლს თამაშობს რუსეთში, რადგანაც მუშა იქ მეტად დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან.

მუშების რიცხვებშიაც არის დიდი განსხვავება ივლის—აგვისტოში სხვა თვეებთან შედარებით.

აღრიცხულ მრეწველობაში იყო:

ოქტომბერში	887	ათასი.
დეკემბერში	869	„
თებერვალში	1007	„
მაისში	991	„
ივლისში	939	„
აგვისტოში	961	„

ამასთან მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ წამოწყებათა რიცხვი ყოველ თვეს თანდათან მცირდებოდა, ესე იგი ხდებოდა წარმოების კონცენტრანცია: იანვარში იყო—1354, მაისში კი—1065, ივნისში—1010, ივლისში—982, აგვისტოს შესახებ ცნობები არ არის, ალბათ 1000—დე იქნებოდა.

აქედან აშკარაა, რომ ზაფხულის თვეებშიაც, როცა წარმოება საზოგადოთ დაცემას განიცდის, საბჭოთა რუსეთმა შესძლო წარმოების ერთ დონეზე გაჩერება და მისი კონცენტრაცია.

ივლისი—აგვისტოს ციფრები იმას მოწმობენ, რომ საბჭოთა მრეწველობა წინ მიდის არა კუს ნაბიჯით, არამედ სწორედ „შვიდ მილიანი“ ნაბიჯებით. თუ ცუდ თვეებში ამდენი რამ გაკეთდა, კარგ თვეებში ეს წარმოება ისეთ რამეს შექმნის, რომელიც ძალიან ხელს შეუწყობს წარმოების შემდეგ განვითარებას.

მრეწველობა 1922—23 წ. და მისი პერსპექტივები 1923—24 წ.

1922—23 წლის საოპერაციო წელი დაიწყო მეტად მძიმე პირობებში. პირველი წელი ახალი ეკონომიური პოლიტიკისა ქმნიდა ათასგვარ გაუგებრობას და იძლეოდა მეტად მძიმე შედეგებს. „ნეპის“ პირველმა წელმა გადასცა საოპერაციო წელს 150 მილ. ოქროს მან. ზარალი. ცხადია, თუ როგორი ცუდი უნდა ყოფილიყო პერსპექტივები. მაგრამ სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 1922—23 წ. შეიქნა მეტად ხელსაყრელი მრეწველობისათვის. მრეწველობის ფეხზე დაყენებას ხელი შეუწყო ერთის მხრივ კარგმა მოსავალმა, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფოს ფინანსიურმა დახმარებამ. საბიუჯეტო წესით. 1923 წ. 1 ოკტომბრამდე მრეწველობამ სახელმწიფოსაგან მიიღო 175 მილ. ოქრ. მანეთი, გარდა ამისა საბანკო წესით მრეწველობამ მიიღო 150 მილ. ოქ. მან., ე. ი. სულ 300—350 მილ. ოქ. მან. ამას ისიც უნდა დემატოს, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ შეკვეთა, რომელიც ფაქტიურად მიეცა მრეწველობას, უდრის 300 მილ. მანეთს.

აი საშვალებათა ასეთმა ზრდამ ხელი შეუწყო მრეწველობის ჩქარი ტემპით ზრდას. იმ ცნობების მიხედვით, რომელიც უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მოეპოვება, წარმოებებს გამოუშვიათ 1.127 მილ. მან. ნაწარმოები. და თუ ჩვენ მხედველობაში მივიღეთ ის გარემოება, რომ აღრიცხვაზე აღებულია მხოლოდ 80 პროცენტი წარმოებებისა, უნდა ვთქვათ, რომ გამოშვებული ნაწარმოების ღირებულება უდრის 1.500 მილ. მან., ომამდე არსებული ფასებით კი 2 მილიარდამდე ღირს.

მრეწველობის აწევას მოჰყვა სამუშაო ქირის აწევაც ოქ. მანეთებში: თუ 1922 წ. აგვისტოში ხელფასი უდრიდა 7 მან., 1923 წ. აგვისტოში ის უკვე 12 მანეთამდე ავიდა. ხელფასის აწევამ გამოიწვია ქალაქის ბაზრის ტეობის გადიდება. სოფლის ტეობა ქალაქის ნაწარმოების მიმართ უდრის 400 მილ. მანეთს, ხოლო ქალაქისა—600—700 მილიონ მანეთს.

ერთი სიტყვით საოპერაციო წლის ბოლოს გამოირკვა, რომ აღდგენილია ომამდე არსებული მრეწველობის 33 პროცენტი, ხოლო მცხოვრებთა ყიდვითი უნარის 45—48 პროც.

როგორია 1923—24 წლის პერსპექტივები? ამ სამეურნეო წლისათვის არ არის ისეთი ხელსაყრელი პირობები, როგორც 1922—23 წლისათვის იყო. საქმე იმაშია, რომ წრეევანდელი მოსავალი არ არის ისეთი უხვი, როგორც იყო წარსული წლის მოსავალი, მაშასადამე, მცხოვრებთა ყიდვითი უნარი არ იქნება ისეთი ცხოველი, როგორც ეს წარსულ წელს იყო. მეორეს მხრივ სახელმწიფოს და ბანკის ფინანსიური დახმარებაც რამდენიმედ უნდა შემცირდეს. მაგრამ აქედან ისეთი დასკვნა კი არ უნდა იქნეს გამოყვანილი, რომ სახელმწიფომ თავისი საწარმოო პროგრამა უნდა შეკვეცოს, პირიქით, სახელმწიფომ ყოველი ღონე უნდა იღონოს, რომ წარსული საოპერაციო წელში მრეწველობის ზრდას რომ ჰქონდა ადგილი, ის შეინარჩუნოს და აგრეთვე ეცადოს მრეწველობის შემდეგი განვითარებისათვის ზრუნვას, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მრეწველობის პროდუკტების ფასები შემცირებული იქნება. მხოლოდ ამ პირობებში შესძლებენ ძცხოვრებლები ქალაქის ნაწარმოების შეძენას. დღეს ქალაქის ნაწარმოები გაძვირებულია 60 პროცენტით. მცხოვრებთა ყიდვითი უნარი აიტანს მხოლოდ საშუალოდ 20—22 პროცენტით სიძვირეს ომამდე არსებულ ფასებთან შედარებით.

უსათუოდ საჭიროა „მაკრატელის“ პირების ერთმანეთთან დაახლოვება. თუ სოფლის და ქალაქის ნაწარმოებთა შორის არ დამყარდა ერთგვარი წონასწორობა ფასების მხრივ, მაშინ მრეწველობის შემდეგი განვითარება შეფერხდება, საქმე იმაშია, უომ ქალაქის ბაზრის ტეობა თითქმის გაიესო, ახლა სოფელმა უნდა გაასაღოს ქალაქის ნაწარმოები. სოფელი კი ამას მხოლოდ მაშინ შესძლებს, თუ სოფლის მეურნეობის პროდუკტების ექსპორტის მოწყობით ამ პროდუკტების ფასები აიწევს და „მაკრატლის“ პირები ცოტათი მაინც თუ დაუახლოვდება ერთმანეთს.

რომ „მაკრატლის“ პირები ერთმანეთთან მივიდეს, ამისათვის მრავალი ღონის ძიების მიღება დასჭირდება სახელმწიფოს. უპირველე-

სად ყოვლისა უნდა მოწესრიგდეს, ემისიის და კრედიტის საქმე, შემდეგ ზედმეტი სავაჭრო ხარჯები უნდა მოისპოს, საქონელი მწარმოებლიდან კოოპერაციის საშვალებით პირდაპირ უნდა მივიდეს მომხმარებელთან, უნდა წარმოებულ იქნას სწორი კალკულიაცია და ძრავალი სხვა ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული, რომ „მაკრატლის“ პირები რაშოდენიმედ მაინც დაუახლოვდეს ერთმანეთს და შესაძლებელი გახდეს მრეწველობის შემდეგი განვითარება.

ამ ხრივ რუსეთში დიდი მუშაობა სწარმოებს.

მემარცხენე ს.-ფედერალისტთა დადგენილება

ამ დღეებში გათავდა მემარცხენე ს. ფედერალისტთა პარტიის ყრილობა, რომელმაც გამოიტანა დადგენილება ორგანიზაციულად შეუერთდეს კომუნისტურ პარტიას. ამ საკითხის შესახებ მიღებული რეზოლიუციის პრაქტიკულ ნაწილში ეკითხულობთ:

„2 წლის და 9 თვის პოლიტიკურ ეკონომიურმა მუშაობამ კომპარტიასთან საქ. მემარცხენე ს.-ფ. პარტიას შეუქმნა გაერთიანების მძლავრი ტენდენცია, რაიცა იხატებოდა ყველა ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებში კომპარტიასთან სრულის იგივეობით მუშაობაში და ბუნებრივად იწვევდა მთლად გაერთიანების საკითხის დასმას. ეს სტიქიური მიმართულება პარტიაში, რომლის შედეგი იყო პარტიის ორგანოებში მთავარ კომიტეტის ინიციატივის გარეშე წევრების მიერ კომპარტიასთან გაერთიანების საკითხის დასმა, სავსებით ეგუება თანამედროვე მომენტს და ამიტომ ყრილობა წინადადებას აძლევს თავის ორგანოებს მთელი თავისი ქონებით, შემადგენლობით გადავიდეს კომუნისტურ პარტიაში.

ხსენებული დადგენილების ცხოვრებაში გატარება, ქონების გადაცემის პირობების გამომუშავება ევალება პარტიის მთავარ კომიტეტს.

აღნუსხულ დადგენილების ცხოვრებაში გატარება უნდა მოხდეს რეზოლიუციის გამოცხადების დღეიდან ერთი თვის განმავლობაში.

პარტიის გაერთიანების მოდუსი შემუშავებულია ყრილობის ცალკე დადგენილებაში და გადაეცეს მთავარ კომიტეტს სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად.“

ყრილობის დახურვის წინ გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა მისმა თავმჯდომარე ი. გედევანიშვილმა, რომელმაც დახასიათა საერთაშორისო მდგომარეობა, შეეხო ზემოთ მოყვანილ გადაწყვეტილებას და კერძოთ ეროვნული საკითხის შესახებ, სთქვა: (ასე გადმოგვცემს სიტყვის ამ ნაწილის „ტრიბუნა“)

„კომუნისტური პარტიის გამარჯვება—ეს არის მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვება და სოციალიზმის რეალურად განაღდება, ეს არის ყოველგვარ ჩაგვრის მოსპობა, მაშასადამე მოსპობა ეროვნული ჩაგვრისა, ეროვნული საკითხის სათანადო დონეზე დაყენება და მისი მოწესრიგება.

დღეს ვერავინ იტყვის, რომ კომუნისტური პარტია არ აქცევდეს შესაფერის ყურადღებას ეროვნულ საკითხს და არ ჰქონდეს გამომუშავებული მეტად სასარგებლო და მოსაწონი ეროვნული პროგრამა. მთელი პოლიტიკა კომპარტიისა დღეს არსებითად მიმართული არის კაცობრიობის უსასტიკესი მტრის—იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის აღმოსაფხვრელად. ამით კომპარტია ნიადაგს ამზადებს ყველა დაჩაგრულ ერთა გასანთავისუფლებლად და ერთა შორის ძმური ურთიერთობის გასამტკიცებლად. კომუნისტური ინტერნაციონალი არის ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია კეთილსინდისიერად მოაგვაროს ეროვნული საკითხი და მოსპოს ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრა“.

დასასრულ ამხ. ი. გედევანიშვილი დამსწრეთ მოუწოდებს მეტი ენერგიითა და სიმტკიცით ემსახურონ სოციალიზმის დიად მცნებას და გაამაგრონ ის რევოლიუციონური რიგები, საითკენაც მთელმა ყრილობამ ერთხმად მიმართა თავისი გეზი.

ყრილობა ხანგრძლივი ტაშის კვრით აჯილდოვებს მას.

ყოფილ ახ. მარქსისტთა მომავალ მუშაოგისათვის.

ყრილობაზე და ყრილობის შემდეგაც, ისმება საკითხი თუ რა უნდა აკეთონ იმ ამხანაგებმა, რომლებმაც შეგნებულად დასტოვეს თავიანთი ძველი გზა და დასდგენ 3-მე კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმაზე. სრულიად საქართველოს ყრილობაზე მიღებულ რეზოლიუციაში გაუქმებულად გამოცხადებულ იქნა ყველა ორგანიზაციები საქართველოს მაშტაბით, და აღიარებულ იქნა ახალი გზის საშუალებანი.

31 ოქტომბერს დასრულდა ხსენებული ყრილობა და ყველა ამხანაგები დაუბრუნდენ თავიანთ ადგილებს, ახალი სურვილითა და ენერგიით გატაცებულნი.

სრულიად საქ. ახ. მარქსისტთა ყრილობამ შეასრულა ის მისია, რომლისთვისაც იყო ის მოწოდებული.

მაგრამ რა უნდა აკეთონ დღეს პრაქტიკულ და თეორეტიულ სფეროში იმ ახალგაზრდობამ, რომელთა სულისკვეთების გამოკვეთა მოგვცა სრულიად საქართველოს ყრილობამ. ყრილობის დასრულების შემდეგ დარჩენილმა კომისიამ, რომელიც დღესაც განაგრძობს მუშაობას ამ ნიადაგზე, რომლის დანიშნულებაა არალეგალურად მომუშავე ახ. მარქსისტთა სრული ლიკვიდაცია, დაადგინა, ჩაატაროს თითქმის ყველგან რესპუბლიკის მასშტაბით, მოსწავლე ახალგაზრდობათა შორის მოხსენებები ყრილობის შედეგების შესახებ. ამასთანავე ეს კომისია მუშაობს, რათა დაიკავშიროს ყოფილ ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის წევრები, როგორც იდეურად, ისე ორგანიზაციულად.

ამ კომისიის დადგენილების თანახმად ყველა ყოფ. ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის წევრებს, როგორც პერიფერიებში, ისე ცენტრში ევალებათ შემდეგი:

1. ყველა ახ. მარქსისტებს, რომლებმაც მოაწერეს ხელი იმ რეზოლიუციაზე, რომელიც იყო მიღებული ყრილობის წინასწარ მოსაწვევად სხვა და სხვა სამაზრო თუ რაიონულ კონფერენციაზე, ვალდებულნი არიან მიიღონ აქტიური მონაწილეობა საბჭოთა აღმშენებლობაში თავიანთი პროფესიის მიხედვით.

2. ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტი ვალდებულია რომ მან მიიღოს, თუ ის ჯერ კიდევ პირდაპირ არ ჩარიცხულა კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირში, მონაწილეობა ამ კავშირებთან არსებულ კულტურულ სექციებში. სადაც სპეციალურად სწარმოებს მარქსიზმის ყოველ მხრივი შესწავლა.

3. კულტურულ სექციებში მომუშავე ახალგაზრდას, პირდაპირი საშუალება ექნება, რომ ის იქნას დანიშნული კანდიდატად კავშირისა და საერთო წესის მიხედვით, გახდეს კავშირის სრულუფლებიანი წევრი.

4. პროვინციაში მყოფ ახალგაზრდათა ყოფილ მარქსისტების მთავარი ამოცანას უნდა შეადგენდეს, რათა მათ იქონიონ, როგორც იდეური ისე ყოველმხრივი გავლენა იმ ახალგაზრდობაზე, რომლებსაც ჯერ კიდევ თუმცა მცირე რიცხვი კვლავ დარჩენილა გამოურკვევლობის გავლენის ქვეშ.

5. ამ ნიადაგზე საჭიროა, როგორც სამაზრო და საქალაქო ცენტრებში, ისე პერიფერიებში დრო გამოშვებით იმართებოდეს მოხსენებები მიმდინარე მომენტის გარკვევის შესახებ, ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის სარაიონო თუ სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელშიაც ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ ყოფილმა მარქსისტებმა.

6. მოხსენებასა და სხვა და სხვა ადგილებზე არსებულ კულტურულ სექციების გაუმჯობესებაში, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს, როგორც კავშირში მომუშავე, ისე კანდიდატათ ჩარიცხულმა ყოფილ ახ. მარქსისტებმა.

7. პერიფერიებში, კავშირში ჩარიცხვა პირდაპირ თუ საერთო წესის მიხედვით უნდა სწარმოებდეს, სამაზრო კომიტეტების ხელმძღვანელობით, სამაზრო საინიციატივო ბიუროების დახმარებით და სათანადო რეკომენდაციით.

8. არც ერთი ახალგაზრდა მარქსისტი, რომელმაც კი შეგნებულად აღიარა ძველი გზის შეუსაბამობა არ უნდა დარჩეს კავშირისა და კავშირებთან არსებული კულტურული სექციების გარეშე.

9. ამ ინსტრუქციების პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარებას კისრულობს ახ. კომუნისტურ კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული კომისია და მაზრებში ახ. კომუნისტური კავშირების სამაზრო და საოლქო **კომიტეტები.**

კომ. კავშ. ცეკასთან არსებული საგანგებო კომისია.

პრესა.

ამ დღეებში მთელ საქართველოში დაიწყება საბჭოთა არჩევნები. თფილისის პროლეტარიატი მუდამ ტონის მიმცემი იყო მთელი საქართველოსათვის. მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და აი ამ დღეებში

თფილისის პროლეტარიატმა უნდა სთქვას ეს გადამჭრელი სიტყვა. თფილისის საბჭოს არჩევნების შესახებ გაზ. „კომუნისტი“ სწერს:

„ამ სამი წლის განმავლობაში ტფილისის საბჭო კოლოსალურ მუშაობას აწარმოებდა ქალაქის დანგრეული მეურნეობის აღსადგენად და განსავითარებლად. საფუძვლიანად შეკეთდა ყველა მთავარი დარგები კომუნალურ მეურნეობის, რის წყალობით მოსახლეობის აუცილებელი მოთხოვნილებებით დაკმაყოფილების საქმე დღეს საერთოდ რიგიანადაა დაყენებული. კომუნალურ სამსახურის მიწოდება კლასობრივ პრინციპზეა აგებული და ამით მშრომელი მასის მდგომარეობა საგრძნობლადაა გაუმჯობესებული.

ტფილისის საბჭოს მუშაობაში კერძოდ აღსანიშნავია უაღრესი მნიშვნელობის დაწყებულება, სახელდობრ ზემო-ავჭალის ჰიდრავლიურ სადგურის აგება.

ეს მუშაობა დაიწყო ორი წლის წინად და უკვე შესრულებულია სამუშაოს ორი მესამედი. ერთი წლის შემდეგ სადგური მზად იქნება. ეს სადგური ძირეულად შესცვლის ტფილისის სამეურნეო და კულტურულ სახეს.

ასეთი მუშაობის დაწყება შეეძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც შემოქმედების უდიდესი ნებისყოფით და ენერგიითაა გაჟღენთილი.

ტფილისის მეურნეობის ასაყვავებლად და მოსახლეობისათვის ცხოვრების კარგი პირობების შასაქმნელად განუწყვეტელი მუშაობა სწარმოებს. ეჭვი არ არის, რომ ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია. აწი უფრო მეტი მუშაობაა საწარმოებელი ქალაქის მეურნეობის აღსადგენად. კერძოდ მწვავედ დგას ბინის საკითხი. საბინაო აღმშენებლობა შეჩერებულია. მართალია, მუშებს დაეთმოთ საუკეთესო შენობები, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. აუცილებელია ახალმა საბჭომ გაჩაღოს სახლების მშენებლობა და საბინაო საკითხი გადაჭრას ფართე მასშტაბით.

კიდევ სხვა ბევრი საკითხებია მოსაგვარებელი.“

ყველაფერი ეს სრული ჭეშმარიტებაა. მხოლოდ ბრმებს არ შეუძლიათ დანახვა იმ აღმშენებლობითი მუშაობისა, რომელიც დღეს სწარმოებს მთელ საქართველოში და კერძოთ ქ. თფილისში. იმ ეკონომიურ პირობებში, რომელშიაც საბჭოთა ხელისუფლებას უხდებოდა მუშაობა, მეტის გაკეთება პირდაპირ შეუძლებელია. რასაკვირველია, ამ მუშაობაშიც არის დეფეკტები და ნაკლი, მაგრამ ნაკლი მას აქვს, ვინც რამეს აკეთებს. დღეს უნაკლოდ მეურნეობის წარმოება არავის არ შეუძლია.

ეს დიდი აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს კომპარტიის ხელმძღვანელობით და მეთაურობით და მუშათა კლასმა მასვე უნდა ჩააბაროს მომავალში მუშაობის წარმოება მშრომელთა სასარგებლოდ.

საქ. უოფილი დემოკრატიული მთავრობა და მის ირგვლივ უკმაყოფილებანი თვით სოც.-დემ. პარტიაში.

(მოგონებანი)

II.

ერთ მშვენიერ დღეს სასახლიდან ჩამოხსნეს წითელი დროშა და მის მაგიერ ააფრიალეს სამფეროვანი ეროვნული დროშა.

ხალხი ჩერდება სასახლის პირდაპირ, უყურებს ეროვნულ დროშას და გაკვირვებულია:

— რამ გამოიწვია ეს? ვინ მოითხოვა რევოლიუციის დროშის სასახლიდან მოხსნა?

შეიქნა ჩოჩქოლი მუშებში...

ყველა გაკვირვებულია...

იკრიბება სახალხო გვარდიის შტაბი და გამოაქვს დადგენილება, რომ წითელი დროშა ისევ იქნეს აღმართული სასახლეზე.

ასეთივე დადგენილება გამოაქვს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ცენტრ. კომიტეტს.

თფილისში ყველა რაიონულ კოლექტივებს გამოაქვს დადგენილება წითელი დროშის კვლავ გამოკიდების შესახებ.

თფილისის ს. დ. კომიტეტიც ადასტურებს ამ დადგენილებებს...

მაგრამ... პარტიას მაშინ ვინ უჯერებდა!

დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციის სხდომაზე პარტიის ლიდერები აცხადებენ:

— რევოლიუცია გათავდა. ეხლა საჭიროა სახელმწიფო დროშა იქნეს გამოკიდებული სასახლეზეო.

შემოდის ბენია ჩხიკვიშვილი ლაიკის „ფერჩატკებში“ და ცილინდრით და სიცილით ამბობს:

— რაა, მუდამ ხომ არ უნდა იყოს რევოლიუცია?..

მას სანდრო ფარნიევი თავის ჩვეულებრივი ოხუნჯობით უპასუხებს:

— ჰოო, შენთვის რევოლიუცია გათავებულია!—და მიუთითებს ცილინდრზე და „ფერჩატკებზე“.

ფრაქცია ადასტურებს წითელი დროშის ჩამოხსნის საჭიროებას...

— გამოკიდეთ წითელი დროშა მუშათა სასახლეზე, პარტიულ ორგანიზაციებში, მაგრამ სასახლე კი უნდა გავანთავისუფლოთ წითელი დროშიდანო..

ასეთი იყო ფრაქციის დადგენილების აზრი.

ამის შემდეგ აშკარა იყო ყველასათვის, რომ მთავრობა და პარტიის ზედაფენები იმიჯნებიან რევოლიუციისგან.

ნამდვილი მიზეზი დროშის ჩამოხსნისა იყო ინგლისელების მოთხოვნა:

— თუ რევოლიუცია გათავებულია, ჩამოხსენით წითელი დროშები მთავრობის დაწესებულებებიდანო...

III.

სახალხო მეურნეობა დადგა სრული განადგურების გზაზე... სპეკულიაცია, საშინელ სახეს იღებს...თვიური ჯამაგირი არ ყოფნის მუშას მარტო საჭმელზე ერთი კვირის განმავლობაშიც კი...

პარტია იწვევს ეკონომიურ თათბირს.

აქ არიან შეკრებილნი პარტიის ზედაფენები.

ნ. ჟორდანია თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ქვეყანა უკვე მივიდა კატასტროფის კარზე და მისი ეხლა გადარჩენა დაღუპვისაგან თითქმის წარმოუდგენელია.

მუშური ელემენტი თათბირისა მოითხოვს პოლიტიკის შეცვლას.

— ნუ გვაკეთებიებთ ბურჟუაზიის საქმეს, დროა ჩვენს თავზე ვიფიქროთო,—ამბობენ ისინი.

ზოგიერთები ამბობენ:

— მთავრობა რომ თავზე ხელს არ უსვებდეს ბურჟუაზიას, ასეთ მდგომარეობაში არ ვიქნებოდითო.

მოითხოვენ ავრეთვე წარმოებათა ნაციონალიზაციას, სახალხო მეურნეობის რაციონალურად მოვლას, შექმნილი სამდიდრის მშრომელი ხალხის სასარგებლოდ გამოყენებას და სხვა.

უთითებენ, რომ ბურჟუაზია სრულიადაც არ ფიქრობს საწარმოო ძალების განვითარებაზე... ის სპეკულიაციის მორევში არის ჩაფლული და ცხოვრობს განცხრომით მაშინ, როცა მუშათა კლასი მშიერი და შიშველია, როცა აუარებელი უმუშევარნი ქუჩებში იხოცებიან.

მუშური ელემენტის მოთხოვნილებათა აზრი იყო-მთავრობა დროზე გათიშოდა ბურჟუაზიას და შედგომოდა წმინდა მუშურ პოლიტიკის გატარებას...

თათბირმა მიიღო დეკლარატიული ხასიათის რეზოლიუციები და მუშების ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ა. ნ.

კვირიჭან-კვირამდე.

მდგომარეობა გერმანიაში.

წარსულ კვირასაც გერმანიის ამბები იპყრობდა მთელი მსოფლიოს ყურადღებას. საერთოდ თანდათან ირკვევა, რომ გერმანიაში პროლეტარული რევოლიუცია არც ისე ჩქარის ტემპით მოხდება, როგორც ეს ზოგიერთებს ეგონათ. იქ მდგომარეობა თანდათან რთულდება და რაც დღე გადის, მით უფრო ნათელი ხდება, რომ რევოლიუცია აუცილებელია, მაგრამ პირობები ისე რთულია, მდგომარეობა ისეა არეული, რომ ძნელია იმის თქმა, შესძლებს თუ არა რომელიმე მხარე—პროლეტარიატი, ან ფაშიზმი—ამ მოკლე ხანში ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. აშკარაა, რომ სანამ პროლეტარიატის დიდი ნაწილი შემთანხმებლებისა—ს.-დემოკრატების—გავლენის ქვეშ იმყოფება, სულ ერთია რა ჯურის არ უნდა იყოს ის (მემარცხენე, თუ მემარჯვენე), მანამ რევოლიუცია გერმანიაში არ გაიმარჯვებს. რევოლიუციის გამარჯვებისათვის საჭიროა კომპარტიამ მუშათა რიგები გამოსტაცოს ს.-დემოკრატიას და თავისი გავლენის ქვეშ დააყენოს. ეს პროცესი სწარმოებს მეტად ნელა, თანდათან. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში, როცა გერმანიაში რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო, ამბები უფრო ჩქარა ვითარდებოდენ, ვინემ ეს ხდება დღეს.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ამ ჟამად ცდა მონარქისტული გადატრიალებისა ბავარიაში. იქ სრულიად მოულოდნელად ჩამოგდებულ იქნა კარის ფაშისტური მთავრობა და

მოხდა მონარქისტული გადატრიალება. ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდენ ჰიტლერი და ცნობილი გენერალი ლიუდენდორფი. მაგრამ მეტად ხანმოკლე გამოდგა ამ ვაჟბატონების გამეფება. ისინი ისევ ჩამოგდებულ იქნენ და დაპატიმრებული. ლიუდენდორფი „პატიოსანი“ სიტყვის ქვეშ გაანთავისუფლეს. ხოლო აწყობენ ლიუდენდორფის და ჰიტლერის პროცესს სახელმწიფო ღალატისათვის. მუშებს განუკითხავად ხვრეტენ, ხოლო მონარქისტებს ასამართლებენ, ასეთია გერმანიის დღევანდელი მთავრობის პოლიტიკა. მართალია ეს პირველი გამოსვლა მონარქისტებისა დამარცხებულ იქნა, მაგრამ არ არის უარყოფილი და გამორიცხული შესაძლებლობა მონარქისტების შემდეგი გამოსვლისა. ამას ხელს უწყობს გერმანიის ს.-დემოკრატიის მოღალატური საქციელი.

აგერ ორი კვირაა, რაც სოც.-დემოკრატები მთავრობიდან გამოვიდნენ და შტრეზემანი „ეძებს“ მთავრობას, მაგრამ ვერ უპოვია. სწარმოებს ათასგვარი მოლაპარაკება, კომბინაციები, მაგრამ ჯერ-ჯერობით მთავრობა მაინც არ არის შედგენილი. არიან მემარჯვენეთა დიქტატურის მომხრენიც—ნაციონალისტები, მაგრამ ამ დიქტატურის გამოცხადებას ვერ ბედავენ. თვით საფრანგეთი წინააღმდეგია მემარჯვენეთა დიქტატურისა. ნაციონალისტები აცხადებენ, რომ ისინი მთავრობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შევლენ, თუ შტრეზემანი არ იქნება მთავრობის თავმჯდომარეთო. ასახელებენ ძმავალი მთავრობის თავმჯდომარეთ ვირტსაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით მთავრობის კრიზისი გრძელდება.

ეკონომიური კრიზისი დღითი დღე კატასტროფიული ხდება. დოლარის ფასი ყოველ დღე საოცრად იზრდება. ამის მიხედვით იზრდება საქონლის და სურსათის ფასებიც. ბერლინში ტრამვაი 30 მილიარდი მარკა ღირს. აქედან აშკარაა, თუ რა საზღაპრო ფასებია ბერლინში. ჩვენთვის, ყველაზე უფრო ნათელია ის, რომ ფულის კურსის დაცემა გამანადგურებლად მოქმედობს მუშათა კლასზე და მის ბიუჯეტზე, რომ რეალური ღირებულება მუშის ხელფასისა ვერასოდეს ვერ ეწევა კურსის დაცემას. და ბერლინში მუშების მდგომარეობა საშინელია. ერთი კვირის შრომის ჯილდოთ მიღებული მილიარდები ორ დღეს ძლივს ჰყოფნის.

ასე აწეწილ-დაწეწილია გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა.

რა ხდება პოლონეთში.

წარსულ კვირას პოლონეთის ამბებმა მიიპყრეს დიდი ყურადღება. რა მოხდა პოლონეთში?—ჩვენ წარსულ კვირეულში გვქონდა აღნიშნული, რომ პოლონეთში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. ამ გაფიცვამ აშკარა რევოლიუციონური ხასიათი მიიღო. კრაკოვში მოხდა მუშების აჯანყება და ძალა უფლება მათ ხელში გადავიდა. გარნიზონის 3 პოლკმა მუშებს ჩააბარა იარაღი და გარნიზონი გავიდა ქალაქიდან. ამ გარემოებამ შეაშფოთა პანები და შეუტიეს კრაკოვს. კრაკოვი დამარცხდა, მაგრამ ყველასათვის აშკარა გახდა, რომ პანების სამეფო საძირკველი საფუძვლიანად შერყეულია, რომ წყალი აქვს შემდგარი და იქ აუარებელი ასაფეთქებელი მასალაა დაგროვილი.

საყოველთაო გაფიცვა კი მუშების დამარცხებით დამთავრდა, რადგანაც სოციალისტურ პარტიებს შეეშინდათ რევოლიუციონური მოძრაობის გაღრმავების და უარი სთქვეს გაფიცვაზე. აი მათი ღალატის გამო გაფიცვა შეწყდა. ამ ჟამად კრაკოვში და სხვაგან სწარმოებს სასტიკი ჩხრეკა-დაპატიმრება. იმ ჯარის უფროსებს, რომლებმაც იარაღი მუშებს გადასცეს, გასამართლებით ემუქრებიან.

ტარნოვოში პოლიცია შეეცადა დაეშალა რკინის გზელების მიტინგი, მაგრამ ამაოთ. მაშინ პოლიციამ დახმარებისათვის მიმართა სამხედრო ნაწილებს. უკანასკნელებმა ესროლეს მუშებს და სამი მუშა მოკლეს. ტარნოვოში გამოცხადებულია სამხედრო წესები.

ინგლისის მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია.

10 ნოემბერს გაიხსნა მუშათა ორგანიზაციების დელეგატთა კონფერენცია, რომელიც კომპარტიის თაოსნობით იყო მოწვეული, გერმანიის მდგორეობის განსახილველად. კონფერენციას დაესწრო 305 დელეგატი კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციებისა, მუშათა პარტიებისა, ტრედიუნიონებისა, უმუშევართა კოოპერატივებისა და ქალთა ორგანიზაციებისა. ერთხმად მიიღეს კომუნისტ მაკ მანუსის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია რომელშიაც აღნიშნულია; რომ გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა სტინესისა და პუანკარეს წინააღმდეგ უნდა გახდეს ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის პროლეტარიატის საერთო ბრძოლად. რეზოლიუცია მიესალმება გერმანიის პროლეტარიატს და ინგლისის პროლეტარიატის სახელით აღუთქვამს მხარის დაჭეეას. მაკ მანუსმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ დღევანდელი ბრძოლა გერმანიის პროლეტარიატისა გაგრძელებაა რუსეთის პროლეტარიატის მიერ 1917 წელს დაწყებული ბრძოლისა. აღნიშნა რა უაზრობა და უშედეგობა საბჭოთა რუსეთში მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამხობის ცდისა, მაკ მანუსომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კაპიტალიზმი განიცდის უკანასკნელს რღვევას და მისი ადგილი უნდა დაიჭიროს პროლეტარულმა ხელისუფლებამ. რეზოლიუციას მხარი დაუჭირა ავეჯეულობის დამმზადებელთა კავშირის თავმჯდომარემ ტომ კინომ, რომელმაც მადლობა გადაუხადა კომპარტიას კონფერენციის მოწვევის თაოსნობისათვის. რკინის გზელთა, მალიარებისა, შავი მუშებისა და ხეზე მომუშავეთა დელეგატებმა ხსა მისცეს რეზოლიუციას, რასაც მთელი სხდომის საერთო ტაში მოჰყვა.

ყოფილ კრონპრინცის დაბრუნება გერმანიაში.

ამას წინეთ გაზეთებმა მოგვიტანეს ცნობა, რომ კრონპრინცი ვილგელმი გაიქცა თავასი ბინიდანაო. შემდეგ ამას მოჰყვა შტრეზემანის განცხადება: „თუ რესპუბლიკა იმდენად სუსტია, რომ ვერ გაუძლებს გერმანელ მოქალაქეს ყოფნას მის მიწა-წყალზე, მაშინ ის რესპუბლიკა არ არის“.

და ბოლოს ტელეგრამებმა მოგვიტანა ცნობა, რომ ყოფილი კრონპრინცი უკვე გერმანიაშიაო. აი ასე, მთავრობის ნებართვით, სოც.-დემოკრატიის ჩუმი თანხმობით ყოფილი კრონარინცი გერმანიაში ჩამობარძანდა. ეს ფაქტი კომენტარიებს არ საჭიროებს, ნოემბრის რევოლიუციის ლიკვიდაციის საქმის დიდი ხანია, რაც ს. დემოკრატია შეუდგა და დღეს ამ ლიკვიდაციას აღრმავებს. პროლეტარიატი ამას მუდამ ეერ მოითმენს და მალე მოიცილებს თავიდან ამ კრონპრინცის მომსრე „სოციალისტებს“.

ქრონიკა

საინიციატივო ბიურომ 12 ნოემბერს დაადგინა: ვინაიდან მოსკოვში ჩვენი ინიციატივით უკვე შესდგა ცენტრალური საინიციატივო ბიურო, რომელსაც ევალება სრულიად საკავშირო სოც.-დემ. ყრილობის მოწვევა, ამიტომ სრ. საქართველოს მიერ არჩეული ბიუროს მისია ჩათვლილ იქნას შესრულებულათ და საქ. კომპარტიის ცეკასთან შედგეს სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალოს ცეკას პლენუმის თეზისების გატარება ცხოვრებაში და იდეოლოგიურ ფრონტზე მუშაობის წარმოება ჩვენი რიგების გასამაგრებლათ.

სპეციალურ კომისიაში არჩეულ იქნენ: ა. ფარნიევი, ა. რუხაძე, კ. თოფაძე, კ. შენგელია, გ. ვარდოიანი, ნ. ჩლაიძე, კვიცარიძე და გელაშვილი.

სარედაქციო კოლეგიაში იქნა არჩეულ: ა. ფარნიევი, კ. ტოფაძე კ. შენგელია ა. რუხაძე, და გ. ვარდოიანი.—

ჟურნალ „მოამბის“ მაგიერ შემდეგი ნომრიდან გამოვიდეს „სიმართლის ხმა“.—

ეთხოვოს ცეკას მუდმივ სამუშაოთ, როგორც რედაქციაში ისე კომისიაში სამუშაოდან განთავისუფლებულ იქმნან ამხ. ა. ფარნიევი, გ. ვარდოიანი და ა. ტოფაძე.

ანკეტების შევსების შესახებ ბიურომ დაადგინა: შევსებულ იქნას ანკეტები ყველა იმ ყოფილ მენშევიკებზე, რომლებიც პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე დგანან.

ანკეტების შევსება შეიძლება: **1 რაიონში** ამხ. ჩლაიძესთან (რკინის გზის დეპოში) და ამ. გნოევოისთან (სახელოსნოში), **2 რაიონში** ამხ. თედეშვილთან (ტრამვაიში), **მე-4 რაიონში** ამხ. ვაჭარაძესთან და ბესოშვილთან (ქალ. საასკლაოში), **მე-3 რაიონში** ამხ. მიკირტუმოვთან (ცეკავშირში), საერთოდ კი—ცეკას პლენუმის თეზისების გამტარებელ კომისიაში სასტ. „ნოე“ ოთახი № 74. აღნიშნულ ამხანაგებს ევალებათ წაიღონ კომისიისაგან საანკეტო ფურცლები და საჩქაროთ შეუდგენ ანკეტების შევსებას.

ქალაქის აღმასკომმა დაადგინა 15 ნოემბრიდან დაიწყოს საბჭოთა არჩევნები. გამოქვეყნებულია არჩევნების ინსტრუქცია და ნაკაზი საბჭოსათვის.

სხვა და სხვა ამბები

გერმანიის ს. დემოკრატიაში. საქსონიის ს. დემოკრატიის პასუხისმგებელი მუშაკების თათბირზე დრეზდენში, ხემნიცში, ჩლაუენში და ცვიკაუში მიღებულია რეზოლიუციები, რომლებიც სასტიკად კიცხავენ პარტიის ცენტრა-

ლურ კომიტეტს და აგრეთვე საქსონიის ლანდტაგის ს.-დემოკრატიული ფრაქციის პოლიტიკას.

◆ **იტალიაში** განზრახულია სამსახურიდან დაითხოვონ 18000 რკინისგზელი

◆ პოლონეთის მთავრობა სასტიკ ზომებს იღებს კრაკოვის აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ.

◆ **სტინესის „სურვილი.“** სტინესმა განაცხადა, რომ მისი სურვილია ხელში ჩაიგდოს ნავთის მსოფლიო წარმოება, მათ შორის კავკასიის ნავთიც.

◆ **კომპარტიის მოწოდება.** გერმანიის ცეკას მიერ გამოშვებული მოწოდება აღნიშნავს სიძვირის საშინელ ზრდას და მოუწოდებს მუშებს მოითხოვონ პური, თავისუფლება და სამუშაო.

◆ **ვოროვსკის** მკლელის გასამართლება უკვე დაიწყო ლოზანაში. საბჭოთა რუსეთი არ ღებულობს მონაწილეობას ამ გასამართლებაში. პროცესის დროს ანტისაბჭოთა სიტყვებს ამბობენ ემიგრანტები, ხოლო საბჭოებს იცავენ „სმენა ვეხოველები“.

◆ **საფრანგეთმა** ოფიციალურად აცნობა გერმანიას, რომ ის არ მოითმენს გერმანიაში სამხედრო დიქტატურას.

◆ **კრონ-პრინცი** გერმანიაში დაბრუნდა. მან სამისო პასპორტი და ნებართვა გერმანიის მთავრობისაგან, მიიღო. საფრანგეთი უკმაყოფილებას გამოთქვამს კრონპრინცის გერმანიაში დაბრუნების გამო.

◆ **ბულგარეთში** მომავალ საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტები და გლეხთა პარტია ერთად გამოვლენ.

წერილი რედ. მიმართ.

სჯობს გვიან ვიდრე არასოდეს.

საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლის გაღრმავება, შრომას და კაპიტალს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მსოფლიოს გიგანტიური სისწრაფით ჰყოფს ორ დიდ დიამეტრალურად მოწინააღმდეგე ბანაკად. მსოფლიო რევოლიუცია ეჯახება მსოფლიო რეაქციას. იმპერიალისტური დიქტატურის ტენდენციას უპირდაპირდება პროლეტარიატის დიქტატურის ტენდენცია. იწყება გადამწყვეტი ბრძოლა, ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა ხანგრძლივი და დაუნდობელი, ბრძოლა მსოფლიო კაპიტალიზმის და სოციალიზმის შორის.

ამ კლასობრივი ბრძოლის პროცესში პროლეტარიატის დიქტატურის ცნებამ დაჰკარგა თავისი აბსტრაქტიული ღირებულება და ისტორიული სინამდვილის ძალით ეკონომიური აუცილებლობათ იქცა. რატომ? იმიტომ რომ მსოფლიო ეკონომიური კრიზისით, რომელიც მომასწავებელია მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისისა, ბურჟუაზიამ საზოგადოებრივ ცხოვრების ვითარებაში დაჰკარგა თვისი არსებობის რევოლიუციონური როლი და მით შეასრულა თავისი ისტორიული მისსია.

ამასთანავე იზრდება პოტენცია სოციალური რევოლიუციისა, ვითარდება პროლეტარული დიქტატურის განხორციელებისათვის ბრძოლის ენერგია და პროლეტარიატი უფრო მეტის გაafთრებით იბრძვის თავის სოციალ-ეკონომიური ბატონობის დასამყარებლად.

აი ამ საერთაშორისო პროლეტარულ ბრძოლას, სათავეში უდგას კომინტერნი. კომინტერნის განუწყვეტლივი და შეუპოვარი ბრძოლით ინგრევა კაპიტალისტური სამყარო. ამ პროცესში ილვიძებს პროლეტარიატიც ოპორტიუნიზმის ზამთრის ხანგრძლივი ძილისაგან და ორგანიზაციულად იშლება II-ე ნაციონალისტური ინტერნაციონალიც. იშლება სწორედ იმიტომ, რომ დღეს მას ვერ ძალუძს ნამდვილი პროლეტარული ფრონტის შექმნა საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლის საფუძველზედ. **პროლეტარული ფრონტი შეუძლებელი ხდება კომინტერნის გარეშე.**

და აი საქართველოს მშრომელთა მასის წინაშე კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დაისვა საკითხი: საითკენ? 2-ე თუ 3-ე ინტერნაციონალისკენ? ესე იგი კაპიტალიზმისაკენ თუ რევოლიუციისაკენ? სოციალურ-ნაციონალურ ექპლოატაციისათვის მხარის დაჭერა თუ მის წინააღმდეგ ბრძოლა?

საქ. სოც.-დემოკრატიულმა ყრილობამ დაგმო ძველი ოპორტიუნისტულ-რეფორმატორული გზა, გზა კლასობრივი თანამშრომლობისა, გზა კაპიტალიზმ-პარლამენტარიზმისა და დაგმო სწორედ იმიტომ, რომ მან დაინახა მასში არა სამსახური რევოლიუციის და სოციალიზმისათვის, არამედ პირიქით, სამსახური ბურჟუაზიის და მებრძოლ, გააფთრებულ რეაქციისადმი.

მან დაგმო 2-ე ინტერნაციონალი, როგორც ოპორტიუნიზმი, და აღიარა 3-ე კომინტერნის დროშის ქვეშ ბრძოლა, ბრძოლა საერთაშორისო პროლეტარიატის დიქტატურისთვის.

და აი დღეს, მეც საჭიროდ ვაცხადებ ყრილობასთან ერთად: **რომ ბოლშევიზმის და კომუნიზმის დამარცხება ეს რეაქციის და მსოფლიო იმპერიალიზმის გამარჯვებაა.** და ამიტომაც საჭიროა არა კომინტერნის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ მასთან სოციალური რევოლიუციის პროგრამაზედ ორგანიზაციულ-პოლიტიკური გაერთიანება იმპერიალიზმის საბოლოვო გასანადგურებლად:

საქართველოს დამოუკიდებელ სოც.-დემ. მ. პ. ყოფილი ცენტრალური კომიტეტის წევრი.

შ. ანდღულაძე (ა. შუაძე).

მე **1917** წლიდან ვირიცხებოდი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. **1921** წლიდან დავშორდი პოლიტიკურ მუშაობას. დღეს კი სავსებით ვიზიარებ ყოფილ მენშევიკთა ყრილობის დადგენილებებს და მხარს უჭერ საბჭოთა მთავრობას მთელი ჩემი შეგნებით და ენერგიით.

ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრი

ოხ [illegible] მიქელაძე.

ძვირფასო ამხანაგებო! ექვსი წლის რევოლიუციონურ ბრძოლაში, ჩემდა საუბედუროთ, უმეტესი დრო რევოლიუციის საწინააღმდეგო, რევოლიუციის დასამარების ბრძოლაში გავატარე. მე ამისთვის სასტიკი პასუხის მოსათხოვი ვიყავი, მაგრამ რაკი დავრწმუნდი ჩემს შემცდარ ნაბიჯებში, მე ყოველივე დავგმე და საბჭოთა ხელისუფლებაც შეეცადა ჩემს გამოსწორებას და ეს ჩემი უდიდესი დანაშაულიც მაპატია.

დღეს კი, როდესაც უსაშინელესი, ულმობელი რეაქციის აჩრდილი თავს დასტრიალებს ქვეყანას და განადგურებას უქადის კაცობრიობას, ამ დროს გულ-ხელ დაკრეფილი სიარული და რუსთველის ტკეპნა არ შემიძლია, როგორც ქვეყნის პარაზიტს, მე არ შემიძლია ძველად გამობრძნედილ მებრძოლ ამხანაგების გარეშე ვიდგე და პროლეტარიტის მოღალატის სახელი დემერქვას.

ჩემს საჯავრელად და სავალალოდ ისიც კმარა, რაც დიდი ხნის განმავლობაში ზიანი და შეფერხება მივაყენე რევოლიუციას და რევოლიუციის აღმშენებლობის დროს განზე ვიყავი მე შეგნებულად, არავის ზედგავლენით და არავის შიშით არ ვდგები რევოლიუციონურ ამხანაგების გვერდით. არამედ დღევანდელი მომენტი მომიწოდებს დავდგე თქვენს გვერდით და თავი შევსწირო საერთაშორისო პროლეტარიატის საქმეს.

დღეს ორი გზაა: ან ფაშისტებთან-ან პროლეტარიატთან და ვინც პატიოსანი სოციალისტია ის აირჩევს უკანასკნელს და ამ გარდამწყვეტ ბრძოლაში თავსაც შესწირავს ამ დიად საქმეს, ვინც კი მერყეობს და განზე დგას, ის დღეს ხელს უწყობს შავ რეაქციას.

ამხანაგებო! მე გულწრფელად მოველ თქვენთან, ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის წინ და მეც მოვითხოვ თქვენგან, ნუ გამომსხლიტავთ რევოლიუციონურ მებრძოლ რიგებიდან და მიყოლიეთ სახეში ყოველ წამს.

გაძლევთ პატიოსან რევოლიციონერ სიტყვას თავი დავდვა სოციალისტურ რევოლიუციისთვის და პროლეტარიატისთვის.

ძირს ყოველგვარი კონტრ-რევოლიუცია!

გაუმარჯოს გერმანიის სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს ერთიან მუშათა ფრონტს მე 3 მე კომინტერნის დროშის ქვეშ!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის ყოფილი ოფიცერი **ილიკო ჯუღელი.**

სარედაქციო კოლეგია:
ა. ფარნიევი.
ა. რუხაძე.
კ. შენგელია.
კ. თოფაძე.
გ. ვარდოიანი.

ს. ს მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა. ნებადართულია ლიტ. და გამ. მთავ. მართ. მიერ № 828 ტირაჟი 1200